

ჯონი გვირაბეგი

აშხაზურ-ქართული ინტებრაციის
პროგლემები XX-XXI ს.ს.

(სოციალურ-კულტურული ასამართები)



გამომცემლობა „ანდენისალი“
თბილისი 2013

ნაშრომში ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანალიზებულია აფხაზურ-ქართული ინტეგრაციის პრობლემები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები XX–XXI სს.

ნაჩვენებია, რომ საბჭოთა მოდერნიზაციულმა და ამ მიმართულებით პოსტსაბჭოური პოლიტიკის ინერციამ საქართველოში და მის სამეზობლოში (ჩრდილოეთ კავკასია) ჩიხში მოაქცია საბჭოთა კავშირში ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა. ავტორის აზრით საჭიროა ამ უკანასკნელის ეროვნულ-კულტურული პრობლემატიკის სიბრტყეში გადაყვანა. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოდგენილი აზრი ითხოვს, საქართველოში სოციალური ინტეგრაცია მშვიდობიანად ეგუებოდეს კულტურულ მრავალფეროვნებას და ამის საფუძველზე ახდენდეს ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

რედაქტორი დაზმირ ჯოჯუა

© ჯ. ჯვიცანი, 2013

გამომცემლობა „ენივრსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-086-9

შპსავალი

საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში აფხაზეთის პრობლემის გადაუჭრელობა ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას, ხელს უშლის მის ახალ სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას. საბჭოთა მოდერნიზაციის პირობებში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით წარმოდგენილი დეზინტეგრაციული ფაქტორების გამომწვევი მიზეზების ჩვენება, ამდენად, წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

სიტუაცია უფრო მეტად დაძაბა რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ. შექმნილი ვითარება ბევრ პრობლემებს უქმნის თვით აფხაზებსა და რუსებსაც, როგორც ქვეყნებს შიგნით, ისე გარეთაც.

ხომ არ არის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შექმნილი ვითარება საბჭოთა მოდერნიზაციის შედეგებით განპირობებული? საბჭოთა კავშირში წარმოქმნილმა სოციალურ-კულტურული ხასიათის რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია, კერძოდ, არამარტო საქართველოს, არამედ თვით სსრკს დაშლაც? ხომ არ გამხდარან საქართველო და რუსეთი საბჭოთა მოდერნიზაციული პოლიტიკის მსხვერპლინი?

გასულმა დრომ გვიჩვენა, რომ ქართულ-აფხაზური პრობლემის დარეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველებისა და აფხაზებისათვის, არამედ კავკასიის რეგიონის ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ამ პრობლემაში პირდაპირ თუ ირიბად არის ჩართული და, აგრეთვე, საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. დღეს სეპარატიზმი, განსაკუთრებით მსოფლიოს ფინანსური კრიზისის ფონზე, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი (ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) ახალ მომხრეებს იძენს. სეპარატიზმი მთელ მსოფლიოს

ემუქრება და ითხოვს საზღვრების ურდვევობის შესახებ ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმების გადახედვას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მსოფლიოში ორ ათასზე მეტი ეთნოსის მიხრაფება თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნისაკენ. ეს კი, თავის მხრივ, მსოფლიოში უპრეცედენტო დესტაბილიზაციას შექმნის.

ამავე დროს ადსანიშნავია, რომ მსოფლიოში დღეს შექმნილი ვითარება მისი პროგრესისაკენ სვლის ტენდენციას არ წარმოადგენს. პირიქით, გლობალიზაციის (მსოფლიო ინტეგრაციის) პარალელურად მიმდინარეობს რეგიონალიზაციის (ლოკალური ინტეგრაცია) პროცესი, რომელიც, რაციონალურ აზროვნებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ახალი იდენტურობის, ინტეგრალური აზროვნების დომინანტური მატრიცის მქონე ადამიანის ჩამოყალიბებას.

კავკასიის რეგიონში ითხი სახელმწიფოს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია) თანაარსებობის ბოლო ოცი წლის ისტორია ცხადყოფს, რომ რეგიონის ინტეგრაციას, თანამედროვე გამოწვევების ფონზე (სეპარატიზმი, ტერორიზმი, მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ა.შ.), ალტერნატივა არ გააჩნია.

კავკასიის ქვეყნებიდან, ვერცერთი ცალ-ცალკე აღებული, ვერ გასცემს პასუხს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ისინი დომინაციას დააყენა. ამისი კარგი დასტურია მათი პოსტსაბჭოური ისტორიის ოცწლიანი, ე.წ. მოდერნიზაციის წლები, როდესაც სიტყვა და საქმე დიდ კონტრასტში იყო ერთმანეთთან.

აზროვნების ინერცია, რომელიც დაფუძნებულია მარქსისტულ-დენიცურ ფორმაციულ მეთოდოლოგიაზე, ერთა თვითგამორკვევას დღესაც ეთნიკურობას უკავშირებს და აქტუალურს ხდის მის ეროვნულ-ტერიტორიულ სახელმწიფოებრივ ხედვას.

ამავე დროს, როგორც ნ. ლუმანის ნაშრომებშია ნაჩვენები, დედამიწაზე მსოფლიო საზოგადოების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს. ავტორი ხაზს უსვამს მსოფლიო თანასაზოგადოების არსებობას ფუნქციონალური დიფერენციაციის საფუძველზე და აღნიშნავს, რომ რეგიონულ გაერთიანებებს არ ძალუქმ ბრძოლა მოუგონ მსოფლიო თანასაზოგადოებას. რეგიონული ინტეგრაცია წამგებიანია, როდესაც სუბიექტები ცდილობენ თავი დაიმკვიდრონ საერთაშორისო გავლენების საწინააღმდეგოდ(1).

ამრიგად, თუ რამდენად დაუჭერენ მხარს პაგასიელი ერები მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს მსოფლიო საზოგადოების შესაქმნელად, ეს ბევრი რამით იქნება დამოკიდებული საზოგადოებაში მეთოდოლოგიური პლურალიზმის დამკვიდრებაზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის გადავაფასოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის ისტორიის პერიოდი XX-XXI საუკუნეებში.

თავი I. პროცესის ისტორიუმაზია

ქართულ ისტორიოგრაფიაში აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების ფართო სპექტრი არსებობს, განსაკუთრებით, აფხაზეთის 1992-1993 წწ. კონფლიქტის შემდგომი პერიოდიდან (მ. ლორთქიფანიძე, ლ. თოიძე, ე. ხოშტარია-ბროსე, ჭ. გამახარია, გ. ანჩაბაძე, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, ზ. პაპასქირი, დ. სტურუა, დ. ჭოჯუა, გ. ნოდია, დ. დოლბაიძე, ვ. კეშელავა, ზ. ხორავა, ბ. კვარაცხელია, ა. სონდულაშვილი და სხვ.) დასმულ პრობლემას საკმაო ყურადღებას უთმობენ აფხაზი და რუსი მკვლევარებიც (ი. ანჩაბაძე, ვ. ჩირიქბა, ს. ლაკობა, ა. ლევ-საია, ს. დამენია, ს. ჩერვონნაია, ვ. შნირელმანი, ვ. ზახაროვი, ა. არეშევი, ე. სემერიკოვა და სხვ.).

დასახელებულ ავტორთა დიდი ნაწილი თავის კვლევებს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ძიებას უკავშირებს. ამ მიზეზების ძიება კი ჩვენს მიერ განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს სცილდება, თუმცა საკითხის სპეციფიკურობა მოითხოვს გარკვეულ ისტორიულ ექსკურსს წარსულში.

წარსულთან კავშირში მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა აფხაზი ხალხის წარმომავლობისა და მათი ტერიტორიული განსახლების საკითხი. აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე უნდა გამოხატავდეს ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრს, რომ აფხაზების (აფხუები) დასავლეთ საქართველოში ქართველებთან ერთად „ერთნაირად მკვიდრი მოსახლეობაა“, რომ აფხაზები აქ „უძველესი დროიდანაც და XVII საუკუნიდანაც ცხოვრობენ (1).

ამ საკითხთან დაკავშირებით არის სხვა თვალსაზრისიც, მაგალითად, გ. გასვიანის შეხედულება ამ საკითხზე ემყარება პ. ინგოროვას ნაშრომის „გიორგი მერჩულე“ კონცეფციას და თვლის, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა ქართველები (ქართველური ხალხი) იყო, ხო-

ლო აფხაზ-აბაზები და ადიღე-ჩერქეზები აფხაზეთში გვიან ჩამოსახლებულნი არიან, რომელთაც იმ ქვეყნისა და ხალხის სახელი ეწოდათ და ადგილობრივ ქართველებთან შედარებით, ყოველთვის უმცირესობას შეადგენდნენ (2). ამ მოსაზრებას ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაო გავრცელება არ მიუღია.

გ. ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ „აფხაზური ეთნოსი თავდაპირველად მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს შენებაში და მისი ხალხის ნაწილად აღიქმებოდა“, ხოლო XV-XVI საუკუნეების შემდეგ, ავტორის აზრით, ხდება აფხაზი ხალხის „ერთგვარი ჩამოშორება სრულიად საქართველოსგან“. ამის მიზეზი, მისივე აზრით, გახდდათ შესუსტება ქრისტიანობისა, რომელიც აქ უცხო ენაზე იყო გავრცელებული. ხაზი ესმება იმასაც, რომ ქრისტიანობა აფხაზეთში ადრეც ზედაპირულად იყო გავრცელებული. გ. ანჩაბაძე აღნიშნავს, რომ „ქართული ენა აფხაზეთში მხოლოდ გაბატონებული კლასისთვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მოსახლეობის ფართო ფენები მას არ ფლობდნენ“ ამის მიზეზად სახელდება აფხაზური ეთნოსის ქართულენოვანი მოსახლეობისაგან გამიჯვნა დასავლურ-ქართული ენობრივი (მეგრული, სვანური - ჯ. კ.) ბარიერებით. ამის გამო, ავტორის აზრით, „აფხაზეთში, იგივე სამეგრელოსგან განსხვავებით, ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგნებამ“ (3).

გ. ანჩაბაძისაგან განსხვავებით, ა. ბაქრაძეს მიაჩნია, რომ აფხაზეთში მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ისლამის აღიარებამ „გააჩინა ბზარი აფხაზეთსა და დედა-საქართველოს შორის“, და რომ „ეს ბზარი ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა, თანდათანობით გაზარდა და გააღრმავა იგი“. ავტორის აზრით, ყოველივე ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა მუჭაჯირობას, რაც რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძალისხმევით იქნა განხორციელებული და

აფხაზების თურქეთში გადასახლებით დასრულდა. ავტორი ხაზს უსგამს, რომ ერთადერთი ხალხი, ვისაც აფხაზეთში გამოთავისუფლებულ მიწებზე დასახლება ეპრძალებოდა, იყვნენ ქართველები. ა. ბაქრაძე ყურადღებას მიაპყრობს 1864-1921 წლების მოვლენებს, როდესაც აფხაზეთში „ძირული ცვლილებები მოხდა“, ანუ „აფხაზთა ერთი ნახევარი თურქეთში გადასახლდა და არსებითად გათურქდა“ და „აფხაზთა მეორე ნახევარი, მართალია, შინ დარჩა, მაგრამ ცარიზმის გამარჯვებელი პოლიტიკის წყალობით გარუსდა და ქართული ეროვნული სამყაროდან გადავიდა რუსულ ეროვნულ სამყაროში“ (4).

ბ. კვარაცხელიას ამასთან დაკავშირებით მოჰყავს აფხაზეთში XIX-XX სს. მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი ქართველი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანაშიას სიტყვები: „ქართული ენა განდევნილია სკოლიდან, ეკლესიაში არ აძლევენ ნებას ქართველებს ქართულად მოისმინონ წირვა-ლოცვა... და ამიტომ არაფერი არ უნდა დავიშუროთ, რომ ცოტათი მაინც შევასუსტოთ ჩვენი ძალად გაუცხოვნება...“. ამასთან ერთად, ავტორი მიუთითებს 6. ჯანაშიას მიერ XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სტატიაზე, სადაც ნათქვამია, რომ XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეების მიმართ გამოთქმული იყო საქვედური იმის თაობაზე, რომ მათ არაფერი არ იღონეს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დასახმარებლად (5). აქვე გვინდა აღვნიშნოთ ჯ. გამახარიას მოსაზრება, რომ ქართული ეროვნული იდეის ზრდასთან ერთად (ილია ჭავჭავაძის მეთაურობით), რუსეთის იმპერია ჩქარობდა აფხაზეთში დაეჩქარებინა ასიმილაციური პროცესები (6).

აფხაზი მკვლევარი ა. ლეფსაია აღნიშნავს, რომ სწორედ „ქართული ნაციონალიზმის ზრდას მივყავართ იქამდე, რომ მეფის რუსეთი იწყებს მის შეფასებას, როგორც საფრთხეს და ამიტომ ამიერიდან ის ფსონს დებს

აფხაზებზე“. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმა 1864 წლის აჯანყების შემდეგ აფხაზები „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა. მოგვიანებით ეს ბრალდება იხსნება და ავტორის აზრით, იწყება „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის გატარება (7).

უკრალდებას იპყრობს ჯ. გამახარიას შეფასება, რომ ცარიზმის ამგარი პოლიტიკა აქტიურ ფაზაში შედის XIX ს. 80-90-იან წლებში ავტორი იმოწმებს ნიკო ჯანაშიას მიერ 1909 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ნათქვამია: „ეხლა მინდა აღვნიშნო თუ როგორ იცვლებიან დრონი და გარემოებანი, აქამდე თუ აფხაზებს ერეკებოდნენ (რუსები – ჯ. გ.) და გაიძახოდნენ „მოგვმორდით თავიდანაო“, ეხლა ვითომ მათ ელოლიავგბიან და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოუღონ და მოსპონ ის მცირერიცხოვანი ნაშთი ისტორიული კავშირისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში აერთიანებდა აფხაზთა და ქართველთა“ (8).

ა.ლეფხსაიას ამავე დროს მიაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში მხოლოდ რუსეთის დადანაშაულება მცდარია და რომ მარტო აფხაზურ და ქართულ მხარეებს შორის არსებულმა დაძაბულობამ მიიყვანა საქმე აფეთქებამდე. ერთ-ერთ მიზეზად ის მიიჩნევს მუჭაჯირობის ფაქტს, რომლის შედეგადაც ვითომცდა ბევრ ქართველ გლეხს შესაძლებლობა მიეცა აფხაზეთში დასახლებულიყო, და რომ ამან დაუდო სათავე ქართველების მიმართ აფხაზების უკმაყოფილებას (9). საქმე კი პირიქით იყო – რუსეთმა აკრძალა ქართველების ჩასახლება აფხაზეთში და ხელი შეუწყო აქ ჩამოსახლებულიყვნენ რუსები, სომხები, ბერძნები და სხვ. ბ. კვარაცხელია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ნიკო ჯანაშიას უცმაყოფილებას XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართველი მოდგაწევების მიმართ, რომ მათ არაფერი იღონეს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დასასახლებლად (10).

ვეთანხმები ა. ლეფსაიას, რომელიც სამართლიანად უსგამს ხაზს ქართული ნაციონალიზმის ზრდას, რაც იმ დროს დამახასიათებელი იყო ბევრი სხვა ხალხის თვისაც, რომლებიც იმპერიების მხრიდან ჩაგვრას განიცდიდნენ. განსაკუთრებულად ეს ეხებოდა რუსეთის იმპერიას, რომელიც XIX-XX სს. მიჯნაზე კულტურულ-ცივილიზაციურ „ჰიბრიდს“ წარმოადგენდა (ქვეყნის ფეოდალურ-აგრარული და კაპიტალისტურ-ინდუსტრიული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა) და მისი „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა განსაკუთრებული სიმძიმით აწვებოდა დაპყრობილ ხალხებს. ფეოდალური და კაპიტალისტური მართვის ნარევი პოლიტიკის მოსახლეობაზე ზეწოლამ, ეთნიკური ნაციონალიზმის ზრდამ და მათ შორის წინააღმდეგობების მატებამ დამხმარეთების ცარიზმი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წ.წ.
ა. ლეფსაია თავის ნაშრომში განიხილავს XX საუკუნის დასაწყისში აფხაზების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საკითხს და მიიჩნევს, რომ 1918-1919 წლებში აფხაზეთში საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ქართველის, როგორც მტრის ნეგატიური იმიჯი. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მათ შორის ნდობის ხიდის საბოლოოდ ჩატეხვა მოხდა 1930-1950 წლებში. მისი აზრით მაშინ, როგორც სკოლებში ხდებოდა აფხაზური ენის აკრძალვა, საერთო მოსახლეობასთან შედარებით აფხაზების ხვედრითი წილის შემცირება, ქართველუბისგან განსხვავებით. ყოველივე ამან, ავტორის თვალსაზრისით, საბოლოოდ შეუწყო ხელი აფხაზებში ჩამოყალიბებულიყო ქართველის, როგორც მტრის ხატი (11).

ა. მენოვაშვილი აღნიშნავს, რომ ცარიზმის დამხმაბის (1917 წ. თებერვალი) შემდეგაც 1917-1921 წლებში რუსეთი კვლავ განაგრძობდა „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას. იგი მიუთითებს, რომ აფხაზეთის დემოკრატიული

ინტელიგენცია დ. გულიას მეთაურობით ქართველ ხალ-ხთან ეროვნულ-კულტურულ საწყისებზე დაახლოების ინიციატივით გამოდიოდა. ავტორი აღნიშნავს, რომ დე-მოკრატიულ საქართველოს სოხუმის „ოკრუგისათვის“ არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით დენიკინის თეთრგარდიე-ლებთან და ბოლშევიკურ რაზმებთან. საინტერესოა ა. მენოვაშვილის მიერ წარმოდგენილი მასალები 1918 წლის 25 სექტემბერს საქართველოსა და უზანის ხელი-სუფლების წარმომადგენელთა შორის გამართული თათ-ბირიდან. ამ თათბირზე „მოხალისე არმიის“ გენერალი ალექსეევი ცდილობდა მიეღწია გაგრისა და სოჭის ოლ-ქების „სუფთა რუსულ“ ოლქებად აღიარებისათვის და ხაზს უსვამდა ყუბანის მხარის შემადგენლობაში მათი შესვლის აუცილებლობას. ამაზე კი საქართველოს ხელი-სუფლების წარმომადგენელი კ. გეგმური პასუხობდა, რომ მოლაპარაკება მხოლოდ 1905 წელს დადგენილი საზ-დვრების აღიარებით იქნებოდა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, 1905 წელს ცარიზმის მიერ დადგენილი ადმინის-ტრაციული საზღვრები არ ატარებდა შემთხვევით ხასი-ათს. სიმართლე არ იყო კორობიოვის განცხადება თით-ქოსდა აფხაზეთში მაშინ სულ რამდენიმე ასეული ქარ-თველი ცხოვრობდა და ვითომცდა ამიტომ აფხაზების თვითგამორჩევის იგნორირება არ შეიძლებოდა. ა. მენოვ-აშვილი აღნიშნავს, რომ 1917 წელს აფხაზეთში ცხოვ-რობდა 74,846 (42,1%) ქართველი, 28,121 (21,4%) აფხაზი, 20,893 (11,7%) რუსი, 20,673 (11,7%) ბერძენი, 18,212 (10,2%) სომები და სხვ. (12).

საინტერესოა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად ივ. ჯავახიშვილისა და სამხედრო ექსპერტი ი. ოდიშელიძის მონაწილეობით შექმნილი დოკუმენტი სა-ქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ. ეს დოკუ-მენტი იწყება ი. ოდიშელიძის სიტყვებით: „თვითონ ბუნე-

ბამ განსაზღვრა საქართველოს საზღვრები და ისტორიაშ დაამტკიცა ისინი... ჩრდილოეთიდან ის კავკასიონის ქედით ბუნებრივად გამოიყო, რის იქეთაც ქართული მოსახლეობა იშვიათად გადადიოდა... ადრე ტუაფსედან დაწყებული, ხოლო XV-ან XIX ს-მდე საქართველოს ჩრდილოდასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე მაკოფსზე, ანუ, მიწები, შავ ზღვასა და კავკასიონის მთავარ უღელტეხილს შორის გაგრის დეფილედან მდინარე მაკოფსეს შესართავამდე, ე. ი. მთლიანად ახლანდელი სოჭის ოლქი ყოველთვის საქართველოში შედიოდა, სანამ თვითონ საქართველო არ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში". საყურადღებოა ა. მენოვაშვილის მიერ მოტანილი ფაქტი გენერალ-მკვლევრის კუზმინ-კარავაევის წიგნიდან, რომ 1894 წელს ქ. სოჭში 460 მოსახლიდან 11 რუსი, 440 ქართველი და 9 სხვა ეროვნების მოსახლე ცხოვრობდა. ამის შემდგომ რუსი მოსახლეობის რაოდენობა სოჭის ოლქში (1919 წ.) გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველების რაოდენობა მაინც 22% შეადგენდა (13).

ე. ხოშტარია-ბროსე აღნიშნავს, რომ 1917 წლის ნოემბერში ქართველი მენშევიკების ინიციატივით სოხუმში შექმნილმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1918 წელს მოითხოვა საქართველოს ფარგლებში შექმნილიყო აფხაზეთის ავტონომია ფართო უფლებებით და, ამასთან ერთად, საქართველო იდებდა ვალდებულებას აფხაზეთის ადრინდელი საზღვრების აღდგენისა (14). ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ გეგმის განხორციელება, აფხაზეთის დაუფლებისათვის, „ოქთორებს“ და „წითლებს“ შორის ბრძოლებისა და სხვა მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. მისი სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა 1920 წლის დეკემბერში, როდესაც მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა „დებულება აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დამტკიცდა 1921 წლის 21 ოქტომბერის ავ-

ტორი ყურადღებას აქცევს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არა მარტო აღიარებდა აფხაზეთის საშინაო საქმეების თვითმმართველობის უფლებას, ის აგრეთვე უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს მთავრობის მიერ განხილულ იქნა აფხაზების მიერ დასმული პრობლემა სამშობლოში აფხაზი მუჭაჯირების დაბრუნების შესახებ. როგორც აღნიშნავს ე. ხოშტარია-ბროსე, ეს საკითხი ნ. ჩხეიძემ განსახილველად დასვა ანტანტის ქვეუნების წარმომადგენლებთან. ამასთან ერთად, საქართველოში გატარდა ლონისძიებები აფხაზური ენის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით. დიდი მოვლენა იყო აფხაზების კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველი აფხაზური გაზეთის „აფხისი“-ს გამოცემა, რომელიც 1919-1920 წლებში დგულიას რედაქციით გამოდიოდა.

ამრიგად, ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით, აფხაზი სეპარატისტებისა და ტენდენციურ ავტორთა მცდელობა წარმოადგინონ აფხაზეთისადმი საქართველოს რესპუბლიკის დამოკიდებულება, როგორც „მტრული“, „აგრესიული“, „ტერორისტული“ და ა. შ. ყოვლად უსაფუძვლოა და ისტორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენს, იმ მიზნით, რომ ქართველები და აფხაზები დაუპირისპირონ ერთმანეთს (15).

რუსი მეცნიერი ვ. შნირელმანი უარყოფითად აფასებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას (1921 წლის 21 თებერვალი, მუხლი 107), სადაც აფხაზეთი წოდებულ იქნა „სოხუმის ოლქად“, საქართველოს განუყოფელ ნაწილად და ქართული ენა ცხადდებოდა სახელმწიფო ენად, თუმცა იმავე დროს აფხაზეთის სახალხო საბჭოს უფლება ენიჭებოდა სკოლებში და საქმის წარმოებისათვის შემოედო ნებისმიერი ადგილობრივი ენა (16).

ვფიქრობ, დღეს უკვე შეიძლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეს მცდელობები შეფასდეს

სწორად გადადგმულ ნაბიჯად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, რადგან ეს ყოველივე ერთ სახელმწიფოში ორი სახელმწიფოს არსებობას გამორიცხავდა. გარკვეულწილად, ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ აფხაზეთის მიმართ გატარებული ამგვარი პოლიტიკა ხომ არ არის პასუხი აფხაზი მკვლევრის ო. დამენიას მოსაზრების მიმართ. ამ მეცნიერის აზრით, ქართული შეგნება აფხაზეთს აღიქვამს როგორც საქართველოს ნაწილს. ამავე დროს ო. დამენია მიიჩნევს, რომ იგივე შეგნება აფხაზებს მოიაზრებს სხვა, არაქართველ ეთნოსად. აფხაზეთის ტერიტორია, ქართველების შეგნებით, არის საქართველოს ნაწილი, მაგრამ აფხაზი ხალხი არ არის ნაწილი ქართველი ხალხისა (17).

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა თავის გადაწყვეტილებაში არ ყოფილა შეპყრობილი იმ წინააღმდეგობით, რაზედაც ო. დამენია ხაზს უსვამს. ეს მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (1918 წ.) ევროპის რუკის გადაკეთების ძირითად პრინციპად იქცა ე.წ. ერი-სახელმწიფოების შექმნა ეთნოკურ-ენობრივი პრინციპით. ჩემი აზრით, ქართული სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, ერთი სახელმწიფოს შიგნით ფართო თვითმმართველობა და კულტურული ავტონომია მინიჭებოდა აფხაზ ხალხს, ვფიქრობ, პოზიტიური მიდგომა გახდათ.

ცნობილი ისტორიკოსი ე. პობსბაუმი აღნიშნავს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერი-სახელმწიფოების მშენებლობის პრინციპს საფუძვლად დაედო „ერების თვითგამორკვევის უფლება“. ამ პრინციპს როგორც მაშინ, დღესაც იზიარებენ ისინი, ვინც შორსაა რეგიონების ეთნოკური და ენობრივი რეალობებიდან; იმ რეგიონებისა, რომლებიც გამიზნულია ერთგვაროვანი ერი - სახელმწიფოებად დაყოფისათვის. მისივე აზრით, ასეთმა მიდგომამ კრა-

ხი განიცადა, რისი შედეგებიც ევროპაში დღეს კარგად ჩანს. ავტორს მხედველობაში აქვს 1990-იანი წლების ეროვნული კონფლიქტები (სამოქალაქო ომი იუგოსლავიაში, სეპარატისტული მდელვარებები სლოვაკეთში, კონფლიქტი უნგრეთსა და რუმინეთს შორის ტრანსილვანიასთან დაკავშირებით, სეპარატიზმი მოლდავეთში, კავკასიაში და სხვ.), რაც, მისი აზრით, ვერსალის საზავო გადაწყვეტილებების (1919 წ.) გამოძახილს წარმოადგენს (18).

საბჭოთა საქართველო – აფხაზეთი. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას წარმოადგენს სპეციალური ლიტერატურა, რომელიც პოსტსაბჭოთა დროს გამოიცა და შეისწავლის საბჭოთა საქართველოში არსებულ სოციალურ-კულტურულ რეალობას 1921-1991 წლებში (ლ. თომაშვილი, გ. ნოდია, ჯ. გამახარია, ზ. პაპასქირი, დ. ჯოჯუა, დ. დოლაბაძე, ბ. კვარაცხელია და სხვ.). ამ ავტორთა შრომებში ძირითადად ყურადღება ეთმობა ქართულ-აფხაზური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების ასპექტებს. თითქმის ყველა ქართველი ავტორის ნაშრომში 1921 წლის თებერვალში ბოლშევკიური არმიის საქართველოში შემოჭრა შეფასებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობად და ქვეყნის ოკუპაციად. გ. ნოდია აღნიშნავს ქართველებისა და აფხაზების განსხვავებულ დამოკიდებულებას საბჭოთა პერიოდის მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება საქართველოს მიეცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და, აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, ის რაც ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს და რასაც თავზე ახვევდნენ უცხო ქვეყნის საოკუპაციო ძალები, იყო არალეგიტიმური. გ. ნოდია საზოგადოებრივ უსვამს, რომ იგივეს თქმა არ შეიძლება აფხაზებზე, რომელთა თანამედროვე სახელმწიფოებრიობა (უფრო მეტად მისი პირველსახე) პირველად განხორციელდა საბ-

ჭოთა დროს და დაქმარა მათ ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების ფორმირებაში. ამიტომ, ქართველებისგან განსხვავებით, აფხაზები თავიანთ პოსტსაბჭოური პრინციპების ლეგიტიმურობას ამყარებენ თავიანთი ისტორიის საბჭოთა პერიოდზე მინიშნებებით (19).

ბევრი კამათია აფხაზეთის სტატუსის შესახებ. ისტორიკოსმა ლ. თოიძემ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ პრობლემას. ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდათ ეროვნული სახელმწიფო ებრიობის უზენაესი ფორმა. შემდგომ მოდიოდა ავტონომიურობის სამი ტიპი: საბჭოთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და მშრომელთა კომუნა.

საყურადღებოა, რომ თათრეთს, ბაშკირეთს, დადუსტანს, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და სხვ., რომლებიც ხასიათდებოდნენ ეთნიკური ოვალსაზრისით უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და ტერიტორიების შედარებით დიდი მოცულობით, არ მინიჭებიათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სტატუსი. სახელმწიფოებრიობის ასეთი სტატუსის დირსად 1921 წლის მარტში მხოლოდ აფხაზეთი ჩათვალეს (20). თუმცა, ამავე დროს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, განიხილებოდა საკითხი რუსეთის ფედერაციაში მისი შესვლის შესახებ, 1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადგბულ სახელშეკრულებო აქტის საფუძველზე. აფხაზეთი მთელი 10 წლის განმავლობაში სახელშეკრულებო რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ავტორის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად მოტანილ ანალიზში ხაზი ესმება, რომ, მაშინდელი აფხაზეთის ხელმძღვანელობის აზრით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გახდათ „დროებითი“, „ერთი წეთით“, „ფორმალობა“ და ა. შ. (21).

ამ საკითხის მიმართ აფხაზი მეცნიერების დამოკიდებულება დაყვანილია სუბიექტური მიზეზების ძიებამდე; მაგალითად, ვ. ჩირიკბა აღნიშნავს, რომ „აფხაზეთი 1931 წელს მაინც რჩებოდა მოკავშირე რესპუბლიკად და მას სტალინის ნებით დაუქცეითდა სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკამდე საქართველოს შემადგენლობაში“ (22).

რა თქმა უნდა, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი სტალინისა და ბერიას სუბიექტური ნებით არ გადაწყვეტილა. ის სხვა ობიექტური მდგომარეობით იყო განპირობებული. ლ. თოიძე ასეთ გარდაქმნას უკავშირებს აფხაზეთში სიტუაციის რეალურ მდგომარეობაში მიყვანასთან და თვლის, სხრა საერთო ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი მშენებლობის დოქტრინის უნიფიკატორულ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანად (23).

საბჭოთა პერიოდის ქართულ-აფხაზური სოციალურ-კულტურული საკითხების ანალიზი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში აგრძელდა პოლიტიზირებულ ხასიათს. მაგალითად, აფხაზური დამწერლობის, ენის, განათლების, მეცნიერებისა და სხვა საკითხების განხილვისას სუბიექტური შეფასებები გადაწონის ობიექტურს. ბევრი რუსი და აფხაზი მეცნიერის აზრით, დამნაშავე „ობილისის ხელმძღვანელების არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკაა“ (24). ზოგადად აფხაზი მეცნიერები აღნიშნავენ მათ ისტორიულ მეხსიერებაში ჩარჩენილ საბჭოთა პერიოდის მტკიცნეულ მოვლენებს და ყურადღებას ამახვილებენ, კერძოდ, „გრუზინიზაციის“ რეპრესიულ პოლიტიკაზე, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ეროვნული გადამდებარების სტატუსის დაწევაზე, XX-ს. 30-50-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში ქართველების მასობრივ ჩამოსახლებასა და თბილისში თითქოს „სამეცნიერო ჰეშმარიტებად“ მიწნეულ აფხაზებისა და ქართველების იგივეობაზე. ი. ანჩაბაძის აზრით პოსტსტალინურ ეპოქაში „გრუზინიზაციის“ ოდიოზური ფორმები გადაიღახა, მაგრამ ავტონომიური

რესპუბლიკის სახელისუფლებო უფლებამოსილებების ფორმალური ხასიათი და თბილისის ცენტრზე დამოკიდებულება გამაღიზიანებულ ფაქტორად რჩებოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. კოველივე ამის საფუძველზე, ი. ანჩაბაძე, თვლის რომ 1957, 1964, 1967, 1987 წლებში. სიტუაცია ფეთქებადსაშიში ხდებოდა და 1989 წელს კი ადგილი ჰქონდა ეთნოსთაშორის სისხლიან შეჯახებას, რომელიც ორივე მხრიდან მსხვერპლით დამთავრდა (25).

ამრიგად, საქართველო-აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ეთმობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში არსებული კონფლიქტების მიზეზების ძიებას და მათ ანალიზს. ლიტერატურის უმეტესი ნაწილი, აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიისა და განათლების საკითხების შესახებ პოლიტიკურებულია და ხშირად სუბიექტურ, მიკერძოებულ ხასიათს ატარებს.

დასახელებული ნაშრომები (ქართული, აფხაზური) XX საუკუნის საქართველოში მომხდარ მოვლენებს ხშირად აფასებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ლოკალური ისტორიის კონტექსტში და ატარებს სუბიექტურ ხასიათს. ამას გარდა საგულისხმოა, რომ ეს ურთიერთობები კულტურულ-ცივილიზაციურ მეთოდოლოგიურ მიღებობათან და XXI საუკუნის მსოფლიოსა და კერძოდ, რუსეთში მიმდინარე მოდერნიზაციულ პროცესებთან ნაკლებადად დაკავშირებული.

პოსტსაბჭოთა საქართველო (აფხაზეთი) და ჩრდილოეთი კავკასია. მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ ხალხთა ერთიანი, სამოქალაქო ერად ჩამოყალიბება დღეს ყველაზე დიდი გამოწვევაა. პოლიტოლოგი გ. ნოდია აღნიშნავს, რომ ასეთი გამოწვევა ტიპიურია ერებისათვის, რომელიც საკუთარ სახელმწიფოებრივ მშენებლობას მრავა-

ლეროვანი იმპერიების ნანგრევებზე იწყებენ. სსრკ-ის დროს შექმნილ სამდონიან გაერთიანებას იგი კვაზიფელგრალურ მოწყობას უწოდებს და დასძენს, რომ ეთნიკური ნიშნით შექმნილმა ავტონომიებმა საქართველოსა და მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში სამოქალაქო ერების ჩამოყალიბების შანსი არ დატოვა (26).

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ს ფედერალიზმმა როგორც საქართველოში, ასევე სხვა რესპუბლიკებში, ხელი შეუწყო ეროვნული ბიუროკრატიული და ინტელექტუალური ელიტების, ეროვნული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ამით შესაძლებელი გახდა განვითარებულიყო ეთნონაციონალიზმი საბჭოთა ფედერაციის შესაბამის დონეებზე, რამაც სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეთნოსთაშორისო კონფლიქტები გამოიწვია. ეს უკანასკნელი დღესაც რჩება კავკასიაში მოდერნიზაციული გარდაქმნების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მეცნიერები ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ პრობლემატიკას (27). საყურადღებოა შ. მალაშეიას მიერ 2008 წლის აგვისტოს სამსეფლო აგრესიის გამომწვევი მიზეზებისა და დეოკუპაციის პერსპექტივასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, მის მიერ კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის ძირითად პრობლემათა განხილვა და საქართველოს როლი და ადგილი რეგიონის სოციოკულტურულ სივრცეში (28). ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, პოლიტოლოგ გ. ნოდიას ნაშრომი „საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები“, რომელშიც იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დემოკრატიის ეპიკაში, შუასაუკუნეებისაგან განსხვავებით, სხვისი შეწყნარება აღარ არის საკმარისი: სახელმწიფომ უნდა შექმნას „სხვისი“ ინტეგრაცია, ანუ ის ეროვნული პროექტის ნება-ყოფლით მონაწილედ უნდა აქციოს“. მისივე აზრით,

„სანამ უმცირესობები ამ აზრით ინტეგრირებულები არ არიან, თვით მათი არსებობა სახელმწიფოს მიმართ გა-
მოწვევად რჩება“ (29).

ქ. ციურხერის სტატიაში “1989-1993 წლები. სიძნე-
ლეების ხანა საქართველოს ისტორიაში“, გამოთქმულია
აზრი, რომ „საქართველოს სახელმწიფოს სისუსტე გარ-
დამავალი პოსტკომუნისტური ეპოქის შედეგი არ ყოფი-
ლა“. ციურხერი ხაზს უსვამს, რომ „ეს სისუსტე უფრო
ადრე წარმოიშვა, როგორც საბჭოთა სისტემის ინსტიტუ-
ციონალური მემკვიდრეობა“. მისი დასკვნით, „საქართვე-
ლოს ეთნონაციონალურმა მოძრაობამ ავტონომიურ ერთე-
ულთა გამორჩეულ ერებში საკმაოდ საფუძვლიანად გამო-
იწვია იმის შიში, რომ დამოუკიდებელ საქართველოში
მათ შეიძლება აღარ ჰქონოდათ პრივილეგიები. საქართვე-
ლოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანლებისაგან
განსხვავებით, აფხაზები ფლობდნენ იმ პოლიტიკურ ბერ-
აქტებს, რითაც შესაძლებელი იყო სეპარატისტული პო-
ლიტიკის გატარება“ (30).

საინტერესოა ს. კორნელის ნაშრომი „ავტონომია –
კონფლიქტის წყარო“, სადაც იგი კავკასიის კონფლიქ-
ტებს თეორიულ ჭრილში აანალიზებს. ავტორი საკმაოდ
დიდ ყურადღებას უთმობს აფხაზეთის კონფლიქტს, რომ-
ლის წარმოშობას იგი „უკელა შეხედულების საწინააღ-
მდეგოდ“ აფასებს. ავტორი აანალიზებს აფხაზეთის პო-
ლიტიკოსთა თავდაჯერებულობის მიზეზებს და ამასთან
დაკავშირებით საგარეო მხარდაჭერას ასახელებს, რაშიც
იგი რუსეთის მხარდაჭერას გულისხმობს. ხაზგასმულია,
რომ აფხაზეთში ეთნიკურ მობილიზაციასა და კონ-
ფლიქტს ხელი შეუწყო 1990-1991 წლებში საქართველოს
მხრიდან მიერნებულმა შეურაცხეყოფამ, რაც უმცირესობების
მიმართ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკაში გამო-
იხატა. მისივე აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი
იყო ავტონომიური სტრუქტურების არსებობა, რამაც აფ-

საზ ხალხს შესაძლებლობა მისცა ჩამოეყალიბებინათ პოლიტიკური ელიტა, რომელმაც დაამყარა კონტროლი აფხაზეთის ტერიტორიასა და ადმინისტრაციაზე. ს. კორნელი თვლის, რომ ავტონომია რომ არა, აფხაზურ ელიტას არ ექნებოდა ისეთი აუცილებელი ინსტიტუტი, როგორიცაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომლის საშუალებითაც ლეგიტიმურად გადაწყვეტდა საქართველოდან გამოყოფის საკითხებს (31). გასაგებია, რომ ასეთი ინსტიტუტები აფხაზურ ელიტას საგარეო მხარდაჭერის მიღების საშუალებას აძლევდა.

ყურადღებას იყორობს 2011 წელს ობილისში გამოცემული სამეცნიერო კრებული „აფხაზეთი: დეიზოლაცია არალიარების კონტექსტში“ ა. გეგეშიძის, ლ. ხაინდრავას, ვ. ყოლბაიას, ნ. შუშანიას და ქ. ციხელაშვილის ავტორობით. კრებულის წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ „საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტის ინტერპრეტაციის შეგნებული გამარტივება და მისი ქართულ-აფხაზური განზომილების უგულვებელყოფა, საგრძნობლად ამცირებს ჩიხური ვითარებიდან გამოსვლის ძიების სიგრცეს“. აქვე აღნიშნულია, რომ „იგულისხმება კონფლიქტის არსის დაყვანა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციამდე და მისი (კონფლიქტის) გადაწყვეტის დაკავშირება მხოლოდ საქართველოს ხენებული ტერიტორიების „დეოკუპაციასთან“ (32).

კრებულის ავტორების მიერ გაანალიზებულია საქართველოს მთავრობის იზოლაციონისტური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, ყურადღება ეთმობა ამჟამად შექმნილ ვითარებას, რომლის თანახმად, დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა, პატივს სცემენ რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვერ აიძულეს რუსეთი შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ფარგლებში. რაც მთავარია, მათ კრიზისის გონივრუ-

ლი გადაწყვეტის გეგმაც ვერ წარმოადგინეს და მხოლოდ ბუნდოვანი ფორმულით „ჩართულობა აღიარების გარეშე“ შემოიფარგლენენ, ამასობაში, თვლიან ავტორები, აფხაზეთში რუსეთის გავლენა ძალას იკრებს, ხოლო „რუსეთის ჯარს“ ამოფარებული აფხაზები საქართველოს ზურგს აქცევენ (33). საინტერესოა აფხაზეთიდან დევნილი მკვლევარის რ. გელანტიას დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 10 იანვარს მიღებულ სახელმწიფო სტრატეგიასთან ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ („ჩართულობა თანამშრომლობის გზით“). ავტორი აღნიშნავს, რომ სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების ნებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სრულ დეოკუპაციას, მშვიდობიანი გზით მოახდინოს ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. ავტორი აღნიშნავს, რომ მთავრობის ამ სტრატეგიის აღსრულების უზრუნველყოფად გარდაუგალია ისეთი გონივრული გეგმის შედგენა და ამოქმედება, რომელიც შეიძლება შევადაროთ ბეწვის ხიდზე გასვლას. რ. გელანტია ამასთან დაპატირებით უკრადღებას ამახვილებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის დროს მის მიერ ოფიციალური თბილისის სტრატეგიის მეტად პოზიტურად შეფასებასა და მინისტრის ხუმრობაზე – „ჩემს ქვეყანაში გონიერი დიასახლისები თაფლიანი თასმით მეტ ბუზებს ხოცავენ, ვიდრე მმრიანით“. ამ ხუმრობაში არის სიმართლეო – დასძენს რ. გელანტია (34).

ამავე მოსაზრებას იზიარებს ფრედერიკ კოენი, რომელიც საერთაშორისო მისით მუშაობდა საქართველოში. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს მხარე მიიჩნევდა – თუ დიპლომატია და პოლიტიკური მოღაპარაკებები სასურველ შედეგს არ იძლევა, ძალის გამოყენება შეიძლება არ იყოს გამორიცხულიო. მაგრამ, მისივე აზრით,

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ამგვარი სცენარი დღეს ნაკლებად საგარაუდოა (35).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ო. დიასამიძის მიერ თბილისში რეგიონალიზმის კვლევის ცენტრში 2005 წელს გამოცემული პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, რომელიც მოიცავს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დოკუმენტურ მასალებს 1989-2005 წლებში. კრებულში თავმოყრილი მასალები საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ საქართველოს იზოლაციონისტური პოლიტიკის ეფექტურობა. ყურადღებას იპყრობს „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები (დიტერ ბოდენის დოკუმენტი). კრებულში მოტანილი აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის – სახალხო კრების ერთ-ერთი დადგენილების (1997 წ. 15 ოქტომბერი) თანახმად, საკანონმდებლო ორგანო თავიანთ ქართველ თანამოქალაქებს „მესუთე კოლონის“ როლის შემსრულებლებს უწოდებს“ (36).

თბილისთან შედარებით სოხუმი რომ უფრო მიზანმიმართულ რეგიონულ პოლიტიკას ახორციელებს, კარგად ჩანს 2011 წელს ნალჩიკში გამოცემული ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის დოკუმენტებისა და მასალების კრებულში. ეს გამოცემა მიძღვნილია ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის მე-20 წლისთავისადმი. კრებულში მოცემული დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ რეგიონული (ჩრდილო კავკასიური) ფაქტორის სათანადოდ შეუფასებლობას და მეორე მხრივ – ჩრდილო კავკასიულების (ადიღების) მნიშვნელოვან, შესაძლოა გადამწყვეტ როლს აფხაზეთის დე-ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაში. კრებულში მოცემული დოკუმენტები ასახავს ყაბარდოელების, ჩერქეზების, ადიღეელებისა და სხვ. აფხაზებისადმი ყოველმხრივ

მსარდაჭერას 1989-2010 წლებში. ზემოაღნიშნულ ასოციაციაში მისი დაარსების წლიდანვე (1991 წ. 20 მაისი) გაწევრიანებულია აფხაზეთიც, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს მის მუშაობაში (37).

საყურადღებოა ამ სტრიქონების ავტორის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში გასული საუკუნის 90-იან წლებში შესწავლილი პერიოდიკის მასალები. ეს ეხება ადიდეურაბაზურ-აფხაზურ გაზეთ „ნართებს“, ყაბარდო-ბალყარეთის გამოცემებს, რეგიონულ გაზეთს „სევერნი კავკაზს“ და სხვა მედიასაშუალებებს, რომელთა ფურცლებზე ფართოდ შუქლებოდა აფხაზეთსა და მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები.

1994 წლს, როდესაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განახლების კრიზისული მომენტი იდგა, ამ სტრიქონების ავტორის ინიციატივითა და გამოჩენილი ქართველი მეცნიერების მსარდაჭერით გაკეთდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიმართვა მათი კოლეგებისადმი ყაბარდო-ბალყარეთში. „გაზეტა იუგა“ 1994 წლის 1 ივნისს აღნიშნავდა ქართველი მეცნიერების – როინ მეტრეგველის, მარიამ ლორთქიფანიძის, გიორგი მელიქიშვილის, თამაზ გამყრელიძის, ლევან თოიძის, დევი სტურუას, ვაჟა შენგელიას, გურა კვარაცხელიას და სხვათა მოწოდებას წვენს ხალხებს შორის თანამშრომლობის აღდგენისა და განვითარების შესახებ (38).

წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული მაქვს 90-იანი წლების ჩემი პუბლიკაციები ქართულ პრესში, რომლებიც ასახავენ აფხაზეთის კონფლიქტის ხედვას მეზობლებში, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამასთან, აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ზემოთხსენებული ლიტერატურა, რომელიც მეტწილად განიხილავს პოსტსაბჭოთა აფხაზეთის კონფლიქტის საკითხს და მის შესაძლო დარეგულირების პრობლემებს,

სათანადო ყურადღებას არ უთმობს სულ მცირე ორ მნიშვნელოვან ფაქტორს.

პირველი – ეს არის სამეზობლო, რეგიონული (ჩრდილოკავკასიური) ფაქტორი, და მეორე – ეს გახლავთ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების კულტურულ-ცივილიზაციურ, მოდერნიზაციულ კონტექსტში განხილვის არარსებობა. უკანასკნელთან დაკავშირებით, არ არის დანახული და გაანალიზებული დრომოჭმული ეთნონაციონალიზმისა და დეკლარირებული სამოქალაქო ერების „თანაცხოვრების“ წინააღმდეგობები.

თავი II. აზხაზურ-ძართული ინტებრაციის სოციალურ-კულტურული ასახულები

მოდერნიზაცია საბჭოურად. XX საუკუნეში, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ, საქართველო რუსეთთან ერთად აქტიურად ებმება მოდერნიზაციულ პროცესი. რუსეთი უკვე ამ დროისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების (საბაზრო ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს) გზაზე იდგა. რუსეთი და კავკასია ჯერ ცარიზმის რეჟიმის, შემდგომ საბჭოთა დროში იწყებს მოდერნიზაციისაკენ პირველი ნაბიჯების გადადგმას. ახალმა კულტურულ-ცივილიზაციურმა ფაქტორებმა (მოსახლეობის სოციალური და გეოგრაფიული მობილობა, ურთიერთობების ინტენსიურობა და მრავალფეროვნება, განათლების მასობრიობა) გააჩინა როგორც ეთნონაციონალური კონსოლიდაციის ახალი, ასევე ერთა შორის სოციალურ-კულტურული სინთეზირების შესაძლებლობები, მაგრამ, თუ როგორ ახორციელებდა ბოლშევების ამ ფაქტორების თავის სამსახურში ჩაყენებას და ახალი, საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას, კარგად ჩანს ქართულ-აფხაზური „სოციალისტური მშენებლობის“ მაგალითზე.

ტრანსფორმაციული პროცესები აფხაზეთში. მოდერნიზაციას, როგორც საზოგადოების გარდაქმნის კულტურულ-ცივილიზაციურ პროცესს, თავისი ნიადაგი აქვს და ის შესაბამისად ვითარდება. ილია ჭავჭავაძემ ამ პროცესის საფუძველი განსაზღვრა პრინციპით „ენა, მამული, სარწმუნოება“. ასეთი მიდგომა ნიშნავდა ქვეყნის კულტურისა და ეკონომიკის ადგილობრივ ნიადაგზე დაყრდნობით და სწავლა-განათლების განვითარებით ახალი, ინდუსტრიულ-ცივილიზაციური სისტემის ფორმირებას.

განსხვავებულად უყურებდნენენ ამ პროცესს ბოლშევიკები. ისინი პირიქით, ტრადიციულ კულტურას, ზნე-

ჩვეულებებსა და რელიგიას უცხადებდნენ ადმინისტრაციულ ომს. მათ კარგად ესმოდათ, რომ მათ მიერ დასახულ „გლობალისტურ-სოციალისტური“ პროექტის განხორციელებას სულაც არ ესაჭიროებოდა ქართული საზოგადოების სოციალური ინტეგრაციის სამსახურში ახალი მოდერნიზაციული ფაქტორების ჩაყენება.

ამიტომ ბოლშევკები საბჭოურ მოდერნიზაციის – ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის პოლიტიკის გატარების პროცესში პრიორიტეტს ანიჭებდნენ შესაბამისი ზეეთნიკური სისტემის ჩამოყალიბებას (საბჭოთა ხალხი), რაც ადგილობრივი ინტეგრაციული პროცესების იგნორირებით ხდებოდა. ამ გეგმის განხორციელება კი ბევრად იყო დაკავშირებული ადგილებზე ეროვნულ-კულტურული ავტონომიის იდეის განხორციელებასთან, რასაც რუსეთში ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატები (მეზევიკები) ერთა თვითგამორკვევის ძირითად პრინციპად მიიჩნევდნენ. ბოლშევკები ხელი-სუფლებაში მოსვლამდე (1917 წლის ოქტომბერი) ამ იდეას იყენებდნენ, შემდეგ მოახდინეს მისი ფორმალური ლეგალიზაცია. ეს ეხებოდა განათლებას, თეატრის, კინოს, ბიბლიოთეკების ფუნქციონირებას. ამოცანა იყო ადგილობრივი არარუსი მოსახლეობისათვის „ცენტრის“ იდეაბი მიეწოდებინათ მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ აქვეუნდა აღვნიშნოთ, რომ მათ დაამახინჯეს იდეის არსი.

ცნობილია, რომ კულტურული ავტონომია პოლიეთნიკურ სახელმწიფოში არის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კარგი ბაზა. ის ხელს უწყობს ჩამოყალიბდეს შეთანხმების დემოკრატიული პროცედურები ეროვნული და სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესების შეჯერების მიზნით და საბოლოო ჯამში უკანასკნელის ინტერესებს აქცევს კონტროლის ქვეშ. მეცნიერი ხ. მამსიროვი, რომელიც აანალიზებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების კულტურულ მოდერნიზაციას XX საუკუნის 20-იან წლებ-

ში თვლის, რომ ევროპული გაგებით ასეთი გზით ჩნდება ნაცია, როგორც სახელმწიფოს სინონიმი და ხელისუფლების პარტნიორი მოდერნიზაციის პროცესში. ბოლშევიკებმა კი, ხ. მამსიროვის აზრით, ხალხთა კულტურული თვითშემოქმედება თავიდანვე დააყენეს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და ამით ეროვნულ-კულტურული ავტონომიის არსი დაამახინჯეს (1).

ბოლშევიკების მიერ თავდაყირა დაყენებულმა ურთიერთქმედების მექანიზმა ბევრად განაპირობა არა ის, რომ საზოგადოებას ხელისუფლებისათვის ეკარნახა თავისი ინტერესები, არამედ პირიქით, კულტურის სტრუქტურები გამოიყენებოდა ხელისუფლების ნება-სურვილის საზოგადოებაზე განსახორციელებლად.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, აფხაზეთში აქცენტი კულტურული აგტონომიის მოწყობისაკენ და არა ქართულ სახელმწიფოში კიდევ ერთი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე იყო მიმართული. ეს ქმედება ბოლშევიკებმა აფხაზეთში 1921 წლის 31 მარტს განახორციელეს. თანაც არამარტო აფხაზეთი, არამედ თვით საქართველოც სსრკ-ის პირობებში რეალურად არ ყოფილან ნამდვილი სახელმწიფო გბი და მით უფრო დამოუკიდებლები.

აფხაზეთი ამ დროისათვის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებითაა დასახლებული. ბოლშევიკები იმის მაგიერ, რომ აქ სამოქალაქო იდენტურობის ცნობიერებისა და თვითმმართველობის პორიზონტადური სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე ეზრუნათ, ფსონს დებდნენ აფხაზეთში ეთნოკრატიული რეჟიმის შექმნაზე. ასეთი მიდგომა საქართველოში, და არა მარტო აქ, ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოებრივი ფედერალიზმის პრინციპებს, აღვივებდა ხალხთა შორის უნდობლობას და სეპარატიზმს. აფხაზეთში ერთი ეთნოსისათვის პრივილეგიუ-

ბის მინიჭება ყოვლად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის პრინციპებს. მით უმეტეს, რომ აფხაზები აფხაზეთში უმცირესობას წარმოადგენდნენ.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XX საუკუნეში

	1926 წ.		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%										
ქართველი	71954	35,8	91967	29,5	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239872	45,7
აფხაზი	51458	25,6	56197	18,0	61195	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
ხომენი	25677	1,6	49705	15,9	64425	15,9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	12553	1,8	60201	19,3	86715	21,4	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	92014	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ მოსახლეობა	201016	100,0	311885	100,0	404738	100,0	486959	100,0	486082	100,0	525061	100,0
ცხრილი მოხმობილია ა. თოთაძის ნაშრომიდან (2)												

ცხრილიდან ჩანს, რომ ძირითადი ცვლილებები აფხაზეთის მოსახლეობაში მოხდა 1926-1939 წლებში. შემცირდა ქართველებისა და აფხაზების წილი და გაიზარდა რუსებისა და სომხებისა. ძირითადად ეს გამოწვეული იყო ქვეყნის მოდერნიზაციით და მოსკოვმა ყურადღების ცენტრში დააყენა ორი ძირითადი ამოცანა: „პერიფერია“ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გათანაბრებოდა ცენტრალურ რეგიონებს და ადგილებზე სოციალურ-საგანმანათლებლო სისტემაში გატარებულიყო ე.წ. „კორენიზაციის“ პოლიტიკა, რაც ნიშნავდა მართვის, განათლების სისტემაში ადგილობრივი, აფხაზი სპეციალისტების მომზადებას. ამ ეგიდით კომუნისტური პარტია და ხელისუფლება, ცენტრალიზებულად, ადმინისტრაციულ-მმრდანებლურ რეჟიმში განსაზღვრავდა მოსახლეობის სოციალურ და გეოგრაფიულ მობილურობას. ათასობით და ათიათასობით ადამიანს მიავლენდა სსრკ-ის ნებისმიერ წერტილში „დამკვრელურ მშენებლობაზე“, რაც, როგორც ამას მაშინ ხალხში ლაპარაკობდნენ, მეტწილად „ნებაყოფლობით-იმულებითი“ ხასიათისა იყო. აღნიშნული პოლიტიკა ხორციელდებოდა აფხაზეთშიც. მაგალითად, 1959 წელს, რუსების წილმა მთელ მოსახლეობაში, 1939 წელთან შედარებით, 21 პროცენტი შეადგინა, ანუ ზრდა აღნიშნა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ზოგადად ქვეყანაში, მათ შორის აფხაზეთშიც მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით. მაგალითად, ცენტრს 40-50-იანი წლებისამდე ძირითადი ყურადღება გადატანილი პქონდა ადგილებზე მოემზადებინა საბჭოთა თაობის მმართველები, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები. ამის შემდეგ სსრკ-ში იქმნება ახალი რეალობა, რომელიც საჭიროებდა პერიფერიების სრულფასოვან გაერთიანებას ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სისტემაში. პარტია და ხელისუფლება აფხაზეთში ეკონომიკური დარგების განვითარების საბაზით აგრძელებს სათანადო კადრების მივლინებას.

1921 წელს აფხაზეთში დარეგისტრირებული 30 საწარმოდან რეალურად მარტო 15 მუშაობდა. მათ შორის იყო ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა ხის წარმოება, თამბაქოს, კვების, ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოება, ტყავის დამუშავება. 1950-1960-იანი წლებიდან ამას მიემატა ახალი დარგები – ელექტროენერგეტიკული, სათბობ-საწვავი, ქიმიური, სამანქანო წარმოება და ლითონგადა-მუშავება, რაც ბევრ მუშახელს მოითხოვდა (3).

ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს აფხაზეთიდან მო-სახლეობის 1960-70-იან წლებში დაწყებული გადინების პროცესი. მაგალითად, 1959 წელს მოსახლეობის გადინების წილი აქ შეადგენდა მთლიანი მოსახლეობის 21,4 პროცენტს, 1989 წელს ის, შესაბამისად, 14,3 პროცენტს შეადგენს. ერთ-ერთი ამის ძირითადი მიზეზი გახდა აფხა-ზეთში სოციალურ-ინტელექტუალური ელიტის არა სამო-ქალაქო, არამედ ეთნიკური ნიშნით კონსოლიდაციის ფორმირების ხელშეწყობა. XX საუკუნის მეორე ნახევარ-ში რესპუბლიკაში, მოსკოვის ხელშეწყობით, ფაქტიურად ეთნოკრატიული რეჟიმის დამყარებამ არა მარტო რუსი მოსახლეობის რესპუბლიკიდან გადინება უზრუნველყო, არამედ არაერთი ეთნიკური ქართველი, პრესტიული თა-ნამდებობების და სხვა „თბილი ადგილების“ (ვაჭრობა, მართვა და ა. შ.) დასაკავებლად „გააფხაზებას“ თხოუ-ლობდნენ, რაც შეეხება რუს მოსახლეობას, რომელიც ძი-რითადად წარმოებაში, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა, ის ამჯობინებდა რესპუბლიკის დატოვებას და ცხოვრებისათ-გის უფრო უკეთესი მომავლის სხვაგან ძებნას.

აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერი დ. ჯოჯუა აღნიშ-ნავს, რომ კრემლის მიერ შეიქმნა აფხაზური ეთნოკრა-ტია, რომელმაც მოახერხა ჯერ ერთი ის, რომ აფხაზი ეთნოსი ორ სუბეთნოსად – გუდაუთისა, იგივე ჩრდილო-დასავლეთის და ოჩამჩირის, იგივე სამხრეთ-აღმოსავლე-თის არის დაყოფილი. მისივე აზრით, ეს „ბზიფელი აფხა-

ზების“ და „აბუის აფხაზების“ ისტორიული დუალიზმის გაგრძელების უზრუნველყოფას წარმოადგენს. მეორე კი ის არის, რომ კრემლის პოლიტიკაში სამი იმპერიული ფუნქცია უზრუნველყო: პირველი – ეთნოკრატია საშუალებას აძლევდა უმცირესობაში მყოფ მცირე ეთნოსს ებატონა რესპუბლიკაში; მეორე – მოახდინა ერთგვარი დისტანცირება ქართული ელიტისა და საერთოქართული პორბლემებისაგან, რაც სტიმულს აძლევდა ეთნოკრატიის პოლიტიკურ ავტარების; რაც შეეხება მესამე ფუნქციას – ეს სეპარატიზმია. ავტორი სამართლიანია, როდესაც ეთნოკრატიას სეპარატიზმის მთავარ ძალად მიიჩნევს და მას აფასებს როგორც შიდა კოლონიალიზმს (4).

აქვე აღსანიშნავია 30-50-იან წლებში აფხაზეთის უპმაყოფილება ვითომცდა ქართველების მასობრივი გადმოსახლებით ასიმილაციის მიზნით. სინამდვილეში ამ დროს მოსკოვის მითითებით აფხაზეთში ორგანიზებულად ხდებოდა საქართველოს მცირებიწიანი, მთიანი და სხვა რეგიონებიდან ჩასახლება. მიზანი გახლდათ მუშა ხელის საჭიროება მეურნეობის ისეთი შრომატევადი დარგების განვითარებისათვის, როგორიც იყო მეჩაიობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა და სხვ. გადმოსახლებულთა ეს რიცხვი 10 ათას ადამიანს არ აღემატებოდა (5).

აფხაზურ ეთნოკრატიას თავისი მდგომარეობის გასამყარებლად ესაჭიროებოდა ახალი და ახალი ბრალდებები საქართველოდან საბოლოოდ მოსაწყვეტად, რასაც იმ დროისათვის კრემლი შეიძლება არც გეგმავდა.

ეთნოკრატიის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა განათლების საკითხი. ის, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, დიდ როლს თამაშობდა მოსახლეობის სოციალურ მობილურობაში და პარალელურად, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ახალ ინდუსტრიულ-ეკონომიკურ, ურბანულ, საგანმანათლებლო სტრუქტურებში მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური წარმო-

მადგენლების ჩართვით, შერეული ოჯახების შექმნა და სხვ. ამ საზოგადოების სოციალური ინტეგრაციისთვის კარგ ნიადაგს წარმოადგენდა.

მაგალითად, ურბანიზაციული პროცესების შედეგად მკვეთრად იზრდება მოსახლეობის მობილობა. თუ 1926 წელს აფხაზეთში ქალაქის მოსახლეობა საერთო მოსახლეობის 15,2 პროცენტს შეადგენდა, 1959 წელს – 37,0, 1979 წელს 42,2 და 1989 წელს – 47,9, შესაბამისად (6). განვითარდა და 1956 წელს მთლიანად იქნა ელექტრიფიცირებული სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელსაც თუ 1957 წელს გადაჰყავდა 1,1 მლნ. ადამიანი, 1975 წელს შესაბამისად – 4,2. იზრდება საზღვაო, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა. მარტო ავტობუსებით მგზავრების გადაზიდვამ მოიცვა 1950 წელს 7 მლნ ადამიანი, 1960 წელს – 38,5 მლნ ადამიანი, 1965 წელს 65,3 მლნ ადამიანი. მაღალია საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის რაოდენობის მაჩვენებლები. თუ ამ მაჩვენებლებმა 1934 წელს შეადგინა 0,1 ათასი ადამიანი, 1965 წელს – 204,0 ათასი ადამიანი და 1979 წელს – 490,4 ათასი ადამიანით გაიზარდა. განვითარდა საფოსტო, სატელეფონო კავშირების როლი და მნიშვნელობა (7). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცენტრი აცნობიერებდა მოდერნიზაციის პროცესებით გამოწვეული სოციალური ინტეგრაციის შედეგს, მაგრამ ის ვერ ელეოდა ავტოკრატიული, ვერტიკალური მართვის რეჟიმს, რაც მის მიერ მართვის პრინციპს, დასაყრდენს წარმოადგენდა. საზოგადოებას კი თანამედროვე კულტურულ-ცივილიზაციური განვითარების ეტაპზე მართვის ასეთი „ჩამორჩენილი“ რეჟიმი ხელს არ აძლევდა. შემთხვევითი არ ყოფილა სსრკ-ს კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის კრიტიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული მართვის სისტემაში ერთი კულტი მეორეთი შეიცვალა...

დაგუბრუნდეთ აფხაზეთის ეთნოკრატიული რეჟიმისა და მისი მომხრევების პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ, ურბანიზაციული პროცესების მიუხედავად, აფხაზეთში მთლიანად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის თითქმის ყველა რესპუბლიკასთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობა სოფელთან შედარებით დომინანტური არ გამხდარა. მაგალითად, ქალაქის მოსახლეობა 1991 წელს საქართველოში შეადგინდა მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან 56,2 პროცენტს. აფხაზეთში ეს მაჩვენებელი უდრიდა 47,8 პროცენტს, შესაბამისად. რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად უდრიდა: ყაბარდო-ბალყარეთში – 61,5; ჩრდილოეთ ოსეთში – 68,9 პროცენტს. დაღესტანსა და ჩეხეთ-ინგუშეთში კი ეს მაჩვენებელი ნაკლები იყო და, შესაბამისად, შეადგინდა 44,0 და 45,8 პროცენტს, რაც, აფხაზეთის ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, ცოტათი დაბალია (8) ასეთი გარემოება ანუ სოფლის დომინირება ძირითადად განაპირობებდა აფხაზეთის ეთნოკრატიული რეჟიმის დასაყრდენს, მის „აღწარმოებას“. შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზეთის თითქმის ყველა სეპარატისტულ აქციას სოფელი ედგა სათავეში. რესპუბლიკის მკვეთრად გამოხატულ სახეს აგრძელი სექტორი წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან კი 20% სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული (9).

ენა, განათლება. ენის დისკრიმინაციის თვალსაზრისით აფხაზეთში განსაკუთრებულ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ როგორც აფხაზები, ისე ქართველები. ბევრი ნაშრომია დაწერილი აფხაზი ხალხისათვის დამწერლობის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით (იხ. თ. მიბჩუანი, ზ. პაპასქირი, ბ. კვარაცხელია, დ. დოლბაიძე და სხვ.).

აფხაზები, რომელთაც არ გააჩნდათ საქუთარი დამწერლობა, ხშირად არჩევანის წინაშე დგებოდნენ. ჯერ

იყო და პ. უსლარი, 1862 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე ქმნის აფხაზურ ანბანს. ანბანი როცელი აღმოჩნდა. ამ გრაფიკით ჭირდა აფხაზური ბგერების გადმოცემა. შემდგომ 1892 წელს პედაგოგმა კ. მაჭავარიანმა და მისმა მოწაფემ დ. გულიამ შეაღგინეს ახალი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე. შემდგომ XX ს. 20-იან წლებში ნიკო მარმა შექმნა აფხაზური ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე. ეს მცდელობაც ამაო გამოდგა. 30-იანი წლების ბოლოს, 1938 წელს დიმიტრი გულიამ, აკაკი შანიძისა და სიმონ ჯანაშიას დახმარებით, შექმნა ახალი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე. ეს ისტორია მთავრდება იმით, რომ 1954 წელს აფხაზური ანბანი ხელახლა შემუშავდა ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე. აფხაზების ასეთი ხშირი არჩევანის წინაშე დაყენების შედეგად მიღებულ იქნა შესაბამისი შედეგი. ცნობილი აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლ. მარშანია 1980 წლის მონაცემების შეფასებით, ხაზს უსვამს, რომ 83 ათასი აფხაზიდან რამოდენიმე ათეულმა სრულფასოვნად იცის აფხაზური (ენათმეცნიერები, მწერლები და ა.შ.), ხოლო სხვა დანარჩენებმა იციან საყოფაცხოვრებო, საურთიერთობო დონეზე (10). მაშინ, როდესაც 1989 წლის სსრკ-ს მოსახლეობის აღწერით საქართველოში მცხოვრები აფხაზების მარტო 2,4 პროცენტი ფლობდა ქართულ ენას, რუსულს კი – 80,5%, აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებიდან კი ქართულს ფლობდა – 1,6%, რუსულს – 81,5% (11).

ამრიგად, ზემოთაღნიშნული შედეგი საბჭოთა აფხაზეთში კრემლის შესაბამისი პოლიტიკის ნაყოფი გახდათ. აქ სულაც არ არის ლაპარაკი საქართველოში სამოქადაქო ერის, სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ფორმირებაზე. პირიქით, გაკვირვებას იწვევს, როგორდა აპირებდნენ ახალი სოციალური ერთობის კ.წ. „საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბებას, როდესაც, როგორც ამას ოუნ-

დაც საქართველოს მაგალითზე ვხედავთ, ხდებოდა ეთნოკრატიული რეჟიმების ფორმირება. ეთნოსებს შორის ენის, განათლებისა და კულტურის სფეროების გამოყენებით რესპუბლიკაში ხდებოდა დეზინტეგრაციული და სეპარატისტული პროცესების ორგანიზება.

აღნიშნული სურათი კარგად გამოჩნდა განათლების სფეროში. 1925 წლის აპრილში აფხაზეთში რუსული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად. ცნობილია, რომ აფხაზეთში 20-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზური და ქართული სკოლების გარდა, დაიწყო რუსული, ბერძნული, გერმანული, სომხური, ესტონური სკოლების გახსნა, მაგრამ, ამ სკოლებში „1937 წლამდე ქართული ენა არ ისწავლებოდა“, – ნათელად ბოლშევკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების 1938 წლის ანგარიშში (12).

1938 წლის მარტში კრემლში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა საკუთარებული დადგანილება ეროვნული რესპუბლიკების სკოლებში რუსული ენის აუცილებელი სწავლების შესახებ. ამ საკითხის შესწავლის შემდეგ საქართველოში, რუსული ენის სწავლება შეფასდა არადამაკმაყოფილებლად. ამის მიზეზად საქართველოს განათლების კომისარიატის კოლეგიის სხდომის დადგენილებაში დასახელდა ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია, რომელიც „ცდილობდა ქართველი ახალგაზრდობა მოეწყვიტა რუსულ კულტურას“. ამავე ორგანოს ცნობაში ამ საკითხთან დაკავშირებით, ვკითხულობთ: „აფხაზეთის სკოლებში, შესაბამისი ეროვნული პედაგოგიური კადრებისა და სახელმძღვანელოების აფხაზურ ენაზე უქონლობის გამო V კლასიდან ყველა საგნები ისწავლება რუსულ ენაზე; რუსული ენის, როგორც საგნის სწავლა კი იწყება II კლასიდან (13).

რა თქმა უნდა, საქართველოს ინტელიგენციას სკოლაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ექნებოდა

საკუთარი პოზიცია, რომელიც მიმართული იქნებოდა ქვეყნის სამოქალაქო ერად ფორმირებაზე და, შესაბამისად, რესპუბლიკაში ქართული ენის პრიორიტეტზე. მისი ასეთი მისწრაფება კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში. ქართული ინტელიგენციის ასეთი პოზიცია, როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, ბოლშევიკების გეგმაში არ შედიოდა. ამიტომ, 1925 წელს საქართველოს ხელისუფლების დოკუმენტში „საქართველოს ინტელიგენციის შესახებ“ ნათქვამია: „საქართველოში გასაბჭოების ოთხი წლის შემდეგ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ განუსაზღვრავს ხელისუფლებასთან კავშირი“. აქვე ხაზგასმულია, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი ბელადის – ლენინის მითითება: „საჭიროა განსაკუთრებული პოლიტიკა დათმობებისა ქართული ინტელიგენციის მიმართ“ (14). სამწუხაროდ, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით არავითარ დათმობაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. პირიქით, ზუსტად 20-30-იან წლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა აფხაზების ახალი საბჭოური თაობის ინტელიგენციის ფორმირება. ამის საფუძველზე ხდებოდა მართვაში ეთნოკრატიის ჩამოყალიბება. მათი ხელმძღვანელობით აფხაზური ნაციონალიზმის გაღვივებამ უკვე 1929 წლისთვის აშკარად გამომწვევი ხასიათი მიიღო.

კრემლის ხელისუფლების მიერ 1929 წლის მაისში აფხაზეთში მოვლენილმა ეროვნული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ ს. კადიროვის ხელმძღვანელობით დაადგინა, რომ “აფხაზეთიდან ემიგრირების განწყობა იღებს მასობრივ ხასიათს... ასეთი განწყობების გაღვივებას ხელს უწყობენ აქაური საბჭოთა აპარატის ნაციონალისტური ელემენტები...“. ამავე დოკუმენტში ნათქვამია აფხაზი ნაციონალისტების უახლოეს ამოცანებზე, როგორიც გახლდათ აფხაზეთის გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან, მუკაჯირე-

ბის დაბრუნება, სხვა ეროვნებების მოთხოვნებისა და საჭიროებების მიმართ ზერელე დამოკიდებულება (15).

როგორც წესი, კრემლის ხელისუფლება ამგვარი ვოთარების შექმნის გამო, საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო ხელისუფლებას ადანაშაულებდა. დღესაც, როგორც სსრკის განათლების პრობლემებზე ლაპარაკი და, კერძოდ, ისეთ გადაწყვეტილებებზე, როგორც ქართული ანბანის შემოდება 30-იანი წლების ბოლოს, ბევრი მეცნიერი ან სტალინს და ბერიას, ან ქართულ ხელისუფლებას ადანაშაულებს.

მაგალითად, რუსი მეცნიერი ვ. შნირელმანი აღნიშნავს, რომ 1937-1938 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ეთნოციდის პოლიტიკა: პირველ რიგში შექმნა ახალი ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე, შემდგომ კი უქმდებოდა აფხაზური სკოლები, ყველგან ინერგებოდა ქართულ ენაზე სწავლება (16).

რა თქმა უნდა, აღნიშნული ბრალდება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმარ სსრკის, მკაცრად ვერტიკალური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემების პირობებში, აბსურდულია. შექმნილ ვითარებას აანალიზებს პროფესორი ზ. პაპასქირი. ის წერს, რომ რუსულ კირილიცაზე დამწერლობის გადაყვანა ხდებოდა ფაქტორივად მთელი სსრკის მასშტაბით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო საქართველოს სსრ და არა იმიტომ რომ საბჭოთა ქვეყანას ქართველი ო. სტალინი ხელმძღვანელობდა. ამის მიზანი, მკვლევარის თქმით, სრულიად ბანალურია: იმ მოკავშირე რესპუბლიკებს (რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ და სხვ.) შორის, რომელთა შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულები ფიგურირებდნენ, მხოლოდ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენას – ქართულს მოეპოვებოდა თავისი ორიგინალური ანბანი (ცნობილია ასევე, რომ თვით

უზბეკური და აზერბაიჯანული დამწერლობებიც გადაიყვანეს კირილიცაზე) (17).

სკოლის რეორგანიზაცია საქართველოში ამით არ შემოიფარგლა. 1954 წელს აფხაზური ანბანი ხელახლა შემუშავდა რუსული გრაფიკის საფუძველზე. აფხაზეთში სკოლა კვლავ უბრუნდება მდგომარეობას, სადაც საშუალო სკოლებში დაწყებითი კლასები, მშობლიურ ენაზე სწავლის გარდა, რუსულ ენაზე აგრძელებენ ფუნქციონირებას.

მიუხედავად 40-50-იან წლებში ქვეყანაში მომხდარი ცვლილებებისა (სსრკ-ში აღიარებულ იქნა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება. წარმატებები განათლებაში, მეცნიერებაში, ხალხთა ეროვნული თვითშეგნების ზრდა და ა. შ.) მართვის პოლიტიკა, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში, არ იცვლება. აფხაზეთში, კერძოდ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა ახალი, საბჭოთა თაობის პარტოკრატია ეთნოკრატიული მისწრაფებებით. მთავარი იყო არა ეროვნული ინტერესების დაცვა, არამედ უფრო მეტად კარიერისტული მიზანდასახულობა და თვითგამორჩენისაკენ სწრაფება.

საქართველოს პარტოკრატია რომელიც ბევრად არ განსხვავდებოდა აფხაზურისაგან, კრემლის მითოებებს პირნათლად ასრულებს. 1954 წელს თებერვალში საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი ვ. მუავანაძე მე-16 ყრილობაზე გაკეთებულ ანგარიშში სასტიკად აკრიტიკებს თხუ ხელმძღვანელობას ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ (5 ტ.) გამოცემის გამო. მოხსენებაში დიდი ქართველი მეცნიერი გაკრიტიკებულია „ნაციონალისტური ხასიათის შეცდომებისა“ და კერძოდ, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ფაქტების დამასინჯებულად გაშუქების“ გამო. აქვე გაკრიტიკებულია პროფესორი ი. ცინცაძე, იმ აზრის გამო, რომ საქართველოს დაახლოება რუსეთთან მეცნიერმა მიიჩნია შეცდო-

მად, რაც, მისი აზრით, უარყოფითად აისახა საქართველოს ბედზე.

ამავე ყრილობაზე აღნიშნული იქნა, თუ როგორ ოპერატორი უნდა გატარებული ღონისძიებები იმჟამად აფხაზეთში არსებული ქართული ანბანის რუსულ გრაფიკაზე გადასაყვანად (18). უკანასკნელი ფაქტი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს საქართველოს კომპარტიის, მისი ხელმძღვანელობის „შემძლეობას“, რაშიც მათ ხშირად აფხაზი სეპარატისტები ბრალს დებენ.

აღსანიშნავია, რომ ცოტა უფრო ადრე, 1952 წელს საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე გამანადგურებელი კრიტიკა ერგო ქართული მწერლობის კლასიკოსს კონსტანტინე გამსახურდიას. მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ „ის ვერ ხედავს განსხვავებას პროგრესულ და რეაქციულ წარსულს შორის“. ყრილობაზე კლასიკოსის სალიტერატურო ენა ხასიათდებოდა როგორც „Воинствующий национализм, с явно выраженной фашистской окраской“ (19).

ომის შემდგომ და 50-იან წლებში სსრკ-ში გაიზარდა ხალხთა შორის სოციალურ-კულტურული ურთიერთმიმართების ინტენსიურობა, რეალობად იქცა განათლების მასობრიობა (1958 წლიდან სსრკ-ში შემოდგებულ იქნა კანონი საყოველთაო საშუალო განათლების შესახებ), გაფართოვდა ეროვნული ინტელიგენციის ფქნა. ყოველივე ეს ეროვნული კონსოლიდაციის ახალი პოზიტიური პროცესები გახლდათ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნული ურთიერთობების სფეროში ნეგატიურ და დესტრუქციულ ფაქტორებად აქცია.

აქედან გამომდინარე 60-80-იან წლებში ყოველივე ამან საბჭოთა საქართველოში აფხაზეთის სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია გამორიცხა, უფრო მეტად განავითარა დეზინტეგრაციული პროცესები საზოგადოებაში. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ერთაშორის ურთიერთობებში პრობლემების გაჩენას. ეს განსაკუთრებით ეხება

საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო უნივერსიტეტის, რამაც ვითარება ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა კიდეც. 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტი და შემდგომ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი უველივე ამის მაგალითია. მთელი უბედურება ის იყო, რომ საბჭოთა კავშირი საზოგადოების სახელმწიფო უნივერსიტეტი-პლიტიკური ურთიერთობების განვითარების ფაქტორს, განსხვავებით ევროპულისაგან, რომელიც ერთიანი სახელმწიფოების მოქალაქეებს ნაციად განიხილავს და განვითარების ვექტორს სქემაში „სახელმწიფოდან ნაციისაკენ“ ხედავს, სსრკ, პირიქით, „ნაციიდან სახელმწიფოსაკენ“ წარმართავდა.

სამწუხაროდ, ასეთი მიღებომა პოსტსაბჭოურ დროშიც გრძელდება. აფხაზი მკვლევარი ბ. კვიჭინა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება როგორ და ხანგრძლივი პროცესია და ამიტომ ის თავის ადრეულ სტადიაზე ეთნონაციონალური კომპონენტის პრევალირებას არ გამორიცხავს“ (20). ამ აზრისგან განსხვავებით აფხაზეთში, და არა მარტო აქ, ეთნონაციონალიზმის დროში საკმაოდ ხანგრძლივი არსებობა და გამოწვევა საზოგადოებისგან პასუხის გამცემ რეალურ ქმედებებს ელოდება.

თავი III. აზხაზეთის პონფლიქტის პროცესი ჩრდილოკავკასიურ პონტემსტში

**აფხაზეთის 1992-1993 წ.წ. კონფლიქტი და მისი გა-
მოძახილი ჩრდილოეთ კავკასიაში.** აღსანიშნავია, რომ
სსრკ-ის დაშლამდე კავკასია გახდედათ ის ერთ-ერთი
პირველი რეგიონი, სადაც ასახვა პპოვა საბჭოთა ქვეყნის
სოციალურ-პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კრიზისმა,
რაც გამოიხატა შეიარაღებული კონფლიქტებით მთიან
ყარაბაღში, ჩრდილოეთ ოსეთში და ა. შ. სსრკ-ის შენარ-
ჩუნების მცდელობამ „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“
პირობებში (1985-1991 წწ.) ვითარება კიდევ უფრო დაამძი-
მა. დემოკრატიულმა რიტორიკამ, ადმინისტრაციულ-
მმრდანებლური პოლიტიკის შესუსტების კვალობაზე, სი-
ტუაცია დაძაბა, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გააღ-
რმავა ეთნოპოლიტიკური სიტუაცია და ქვეყანა დაშლის
პირას მიიყვანა.

1991 წლის დეკემბერში, როდესაც, ვ. პუტინის სიტ-
ყვებით „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კა-
ტასტროფა“ მოხდა – საბჭოთა კავშირი დაიშალა და
ფაქტიურად კავკასია, როგორც მთელი პოსტსაბჭოთა
სივრცე, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, კონ-
ფლიქტებით მოცული აღმოჩნდა, ანუ სსრკ გაქრა, მაგრამ
პრობლემები დარჩა. 1992-1993 წლების კონფლიქტები აფ-
ხაზეთსა და კავკასიის სხვა რეგიონებში რეზონანსულია
და დარეგულირებას მოითხოვენ. მათ გადაჭრაზე ინერცი-
ულად მონოპოლიას იდებენ, ერთი მხრივ, ძველი პარტნო-
მენტურული, რომელიც თავის სახელისუფლებო პოტენ-
ციალს საკმაოდ მყარად ინარჩუნებს და, მეორე მხრივ,
ეწ. „არაფორმალები“, ეროვნული მოძრაობები, რომლებიც
ძველი პარტნომენტურის კონკურენტებად გვევლინები-
ან. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გზების ძი-
ებასთან დაკავშირებით კარგად ჩანს მათზე საბჭოური
იდეოლოგიის გავლენა (ეთნიკური ნიშნით ერთა თვითგა-
42

მორკვევა, რომელსაც ქართველებისა და აფხაზების კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად საქმე მის გართულებამდე მიჰყავდა. საბჭოთა იდეოლოგიის გავლენამ „ხალხების იერარქიულობასთან“ დაკავშირებით განაპირობა ის, რომ აფხაზები, როგორც ხელისუფლების, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, თავისი „პოზიციების“ მხარდამჭერებად მოიაზრებენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მონათესავე ხალხებს – ადიღელებს, შაფსუდებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებსა და სხვ. ქართველები კი (თუ არ ჩავთვლით ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას) რუსეთსა და ევროპის ქვეყნებზე აპელირებენ. თავისი არსით ორივე პოლიტიკა, ძველი ინერციით, ერის თვითგამორკვევაში ეთნიკურობის დომინირებას გულისხმობდა.

საინტერესოა, რომ აფხაზური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო ოცი წლის მანძილზე, ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ეფექტური აღმოჩნდა.

1991 წელს შექმნილი ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ყასბოლათ ძამიხოვი ამ ორგანიზაციის ოც წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული დოკუმენტებისა და მასალების კრებულის წინასიტყვაობაში (აფხაზები ამ ორგანიზაციაში დაარსებიდანვე არიან გაწევრიანებულები) აღნიშნავს, რომ ასოციაციამ აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას მიუძღვნა სპეციალური კონგრესი (1993 წ. 20-25 ივლისი). იგი აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ ამის შემდგომაც არ ჩატარებულა ასოციაციის არცერთი თავმყრილობა, აფხაზეთის მხარდასაჭერი საკითხები რომ არ განხილულიყო (1).

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის დასუსტება-დაშლის (1990-იანი წლების დასაწყისი) პროცესის თანმდევი კონფლიქტების დროს, აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მცხოვრები ხალხების, განსაკუთრებით ეროვნულ მოძრაობათა რადიკალური პოლიტიკოსების მისწრაფებები ეროვნული თვითგამორკვევის საკითხები

თანხვედრაში მოვიდა. განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ოფიციალური ხელისუფლებისაგან, რომლის სათავეში კვლავ „გუშინდელი“ პარტნომენტლატურა რჩებოდა, აფხაზეთის პოლიტიკოსები ერის თვითგამორკვევას ეთნონაციონალიზმს უკავშირებდნენ. აფხაზები თხოულობენ საქართველოდან, ხოლო მათი მოქავშირე ჩრდილოკავკასიური ნაციონალური მოძრაობები – რუსეთიდან გამოყოფას. მათ მოქმედება ჯერ კიდევ სსრკის დაშლამდე დაიწყეს. ჯერ იყო და აფხაზური და ყაბარდოული ეროვნული მოძრაობების მიერ, ყაბარდოელი იური (მუსა) შანიბოვის თაოსნობით, 1989 წელს სოხუმში შეიქმნა კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა, რომელიც 1991 წლის ნოემბერში კავკასიის ხალხთა კონფედერაციად გარდაიქმნა, შემდეგ კი 1992 წელს აფხაზების მონაწილეობით ადიღთა (ჩერქეზთა) მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია იქმნება. აღსანიშნავია 1991 წლის 19-20 მაისს ქ. ნალჩიკში ჩამოყალიბებული ზემოსხეკებული ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაცია აფხაზეთის „ხასე“-ს მონაწილეობით. მისი დაფუძნება მოხდა ადიღთა (ჩერქეზთა) პირველ მსოფლიო კონგრესზე. იმავე ხანებში აფხაზების მონაწილეობით დაიწყო საერთო ადიღური ეროვნული მოძრაობის გაზე „ნართების“ გამოცემა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ აფხაზეთში ძლიერდებოდა სეპარატისტული ტენდენციები. აფხაზეთში ადგილი ჰქონდა პროვოკაციებს ეთნიკურ ნიადაგზე. კონფლიქტის დაწყებამდე სოხუმში აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა ქართველებს თურმე დაპირებია: „ჩვენ გაიძულებთ თქვენ, რომ გვესროლოთ“. ქართულმა ხელისუფლებამ, აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, დაიწყო ძალისმიერი მოქმედებები ადგილობრივი აფხაზური ხელისუფლების წინააღმდეგ.

იმდროინდელი მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1991-1996 წლებში აფხაზი სეპარატისტები თვითგა-

მორკვევის პროექტის რეალიზებას ჩრდილოკავკასიელთა ეროვნულ მოძრაობებს და იქაურ არაფორმალურ ორგანიზაციებს უკავშირებდნენ.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პირველსავე დოკუმენტში სახელწოდებით “დეკლარაცია კონფედერაციული კავშირის შესახებ” აღნიშნულია: „არსებობის უფლებისათვის ჩვენს ბრძოლაში, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის არაა გამორიცხული ცალკეული მთიელი ეთნოსების ფიზიკური განადგურების შესაძლებლობა...“ (2). კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ჩეჩენი დენგა ხალიდოვი, ამ ორგანიზაციის პროგრამის განმარტებისას, აცხადებდა: „ჩეჩენი პოლიტიკის გატარებაში არ შეგვიძლია დაკეყრდნოთ რუსეთის კანონებსა და კონსტიტუციას“ (3).

აფხაზურ-ადილურ აღიანსთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ გახდდათ, რომ ჯერ კიდევ 1991 წელს ყაბარდოული ეროვნული ორგანიზაციების ლიდერები არა-ერთგზის აკეთებენ განცხადებებს ყაბარდო-ბალყარეთის დაშლასა და მის ყაბარდოდ და ბალყარეთად დაყოფაზე. ამავე დროს, 1991 წელს ყაბარდოელ ხალხთა კონგრესზე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ცნობილი იურისტი იური კალმიკოვი (მოგვიანებით, 1993 წ. ნოემბერში, იგი რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრად დაინიშნა) ღიად აცხადებს, რომ ძლიერი ადილური სახელმწიფოს შექმნა ახლო პერსპექტივის ყველაზე აქტუალური საკითხია. მხედველობაში ჰქონდათ ადილექტიკის, ჩერქეზების, ყაბარდოელების, შაფხუფების და ასევე, როგორც ამას ცალკეული ექსპერტები მიიჩნევდნენ, აფხაზებისა და აბაზების გაერთიანება (4).

ამ გეგმის განხორციელების პირველ ეტაპზე ადილური და მათი მეზობელი ჩრდილოკავკასიელების (ბალყარელებისა და ყარაჩაელების გამოკლებით) ეროვნული მოძრაობების (და არა მარტო მათი) ყურადღება გადატანი-

ლი იყო აფხაზეთზე. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკა-ბის იმდროინდელი ხელმძღვანელობა ხელს არ უშლიდა ამ მოძრაობებს „აქტიურად ემოქმედათ“ აფხაზეთის მიმართულებით. კონფედერანტებისა და სხვა ეროვნული, „არაფორმალური“ ორგანიზაციების ემისრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრამდე, აგზავნიდნენ „მოხალისეებს“ საომრად, თვითონაც ჩადიოდნენ აფხაზეთში და ჩაჰქონდათ მატერიალური დახმარება, რასაც თვითონ აფხაზი სეპარატისტებიც აღიარებდნენ. მაგალითად, 1993 წლის ოქტომბერში ქ. ნალჩიკში აფხაზეთის მხარდასაჭერად გამართულ რიგით მესამე სადღედამისო ტელემარათონში ვლადისლავ არძინბაძი გაზეთ „ნართებთან“ ინტერვიუში აღიარა: „ჩვენ წელიწადი ვიცხოვრეთ, ისე, რომ არ გვქონია არცერთი რუბლი კრედიტი... დახმარებას ვიღებდით ყაბარდო-ბალყარეთიდან, ადიღედან, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთიდან“ (5)

აფხაზების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულმა პოლიტიკამ სათანადო შედეგი გამოიღო. „მოხალისეები“ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებიდან და რუსეთის ყველა პატიოსანი ადამიანი დადგა აფხაზი ხალხის დასაცავად“, – ნათქვამია კავკასიელი ხალხებისადმი ჩერქეზთა 1993 წლის 21 ივლისის II საერთაშორისო კონგრესის დელეგატთა მიმართვაში, რომელიც აფხაზი ხალხის მხარდასაჭერად იყო გამართული (6).

აღსანიშნავია, რომ 1992-1996 წლებში აფხაზებისა და ადიღების მიერ ყველაფერი კეთდება მათი გაერთიანებისათვის. ჯერ იყო და აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 1994 წლის 28 ნოემბერს დებულობს აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, რაც, ფაქტიურად, ნიშნავდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, შემდეგ კი 1999 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთში გამართული სახალხო რეფერენდუმის დროს, მოქალაქეთა 97-მა პროცენტმა მოიწონა მოქმედი კონსტიტუცია, რითაც გაფორმებულ

იქნა აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტი (7).

აფხაზეთში იქმნება ადიდებისათვის მისაბაძი კითარება, რაზედაც, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებით (ჩეჩნეთის გარდა), ეროვნული მოძრაობის ლიდერები ღიად დეკლარირებენ სუვერენიტეტის სურვილს და რუსეთისაგან სეცესიის შესაძლებლობას.

1996 წლის 30 მარტს აფხაზეთის დუფაქტო პარლამენტი აკეთებს მიმართვას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ “აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მმურ გრძნობებს, ერთმანეთთან გაერთიანების გზაზე, შეუძლია გადალახოს მათ შორის აღმართული კავკასიის მთები, დაადნონ ყინული და მოხსნან ყოველგვარი დაბრკოლებები” (8).

ასეთი გაერთიანებისათვის ბევრი რამ კეთდებოდა ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ. 1996 წელს ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ასოციაციის II კონგრესის (1993 წ. ივლისი) გადაწყვეტილებების (აფხაზეთთან სოლიდარობის საკითხი) აღსრულების მიმდინარეობას, აღნიშნულ იქნა დასახულიყო კონკრეტული ამოცანები მშობლიური ენის განვითარებისათვის, ანბანის უნიფიცირებასთან და ადიდთა სამწერლობო ენების შესაძლო დაახლოების გზების მიებასთან დაკავშირებით (9).

ამავე დროს გაპვირვებას იწვევს საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო დიპლომატიის პოლიტიკა ამ რეგიონში, უფრო სწორად – მისი არარსებობა. ამ სტრიქონების ავტორი „სვობოდნაია გრუზიას“ ფურცლებზე ამის შესახებ ღიად მიუთითებდა: „ამ დონეზე (სამთავრობო დონეზე - ჯ. კ.) თითქმის არაფერი არ კეთდება საქართველოსათვის არასასურველი ტენდენციების გასანეიტრალებლად, რაც მის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქ-

რება“ (10). ნეგატივის გასანეიტრალებლად აუცილებლობას წარმოადგენდა გახსნილიყო ყაბარდო-ბალყარეთში საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობა (11).

აფხაზ-ადიდთა ეროვნული მოძრაობების სტრატეგია, რა თქმა უნდა, რუსეთისთვისაც არ იყო მისაღები. მით უმეტეს, რომ ამ დროს ჩეჩენთის პრობლემამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: 1994-1996 წლებში მოსკოვმა ჩეჩენთში ომი წააგო, 1996 წლის 31 აგვისტოს კი რუსეთის ფედერალურმა ხელისუფლებამ ქ. ხასავიურთში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რითაც ჩეჩენთმა დუფაჭტო დამოუკიდებლობა მიიღო, ხოლო მისი პოლიტიკური სტატუსის განხილვა 2001 წლამდე გადაიდო.

ბაზებერობას იწვევდა, აგრეთვე, პოზიცია ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც, დიად თუ ირიბად, მხარს უჭერდნენ სეპარატიზმს (მხედველობაში მაქს კაზაკების ფაქტორი).

ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ლ. ხოპერსკაია წერდა: „ბევრს მიაჩნია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რუსეთისათვის ძირითადი საფრთხე აფხაზი სეპარატისტებისგან მოდის. არავინ არ იფიქრებდა, თუ რატომ აქვთ კავკასიის სეპარატიზმის ფუძემდებლებს რუსეთთან მიერთების მანია. საიდუმლოება კი იმაშია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრები მონათესავე ხალხების (ადიღეელები, ჩერქეზები, შაფსუდები, ყაბარდოელები...) ირგვლივ შემოკრების კვალობაზე მათი მიზანია “დიდი ჩერქეზეთის“ შექმნა და შემდეგ რუსეთისაგან გამოყოფა“ (12).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 1992-1996 წლებში კავკასიის რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციაში (1993), საქართველოში (1995) მიღებულ იქნა კონსტიტუციები, სადაც ხალხთა უმრავლესობის მიერ არჩევანი არა ეთნონაციონალიზმზე, არამედ მოდერნიზაციულ დემოკრატიულ

განვითარებაზე კეთდება. სეპარატიზმისა და ეთნონაციონალიზმის პოზიციები სუსტდება. სწორედ იმ ხანებში, 1995 წელს, ადიღთა (ჩერქეზთა) მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა რ. ბურაევმა ეროვნული მოძრაობის აქტუალურ სტრატეგიებს აბსურდული უწოდა. მისი აზრით, „აბსურდული იყო მითიური იდეა „დიდი ჩერქეზეთის“ შექმნისა, რომელიც მომწიფებული იყო „ცხელ თავებში“ და რასაც მხარს უჭრდნენ ისინი, ვინც ამ ცოტა ხნის წინათ ხელისუფლების ხელში უკანონოდ ჩაგდებას ცდილობდნენ“. მისივე აზრით, “ილუზორულ ამოცანას წარმოადგენდა სხვა ქვეყნებიდან დაბრუნება თანამემამულებისა, რომლებიც უკვე თვისობრივად სხვანაირები არიან, ვიდრე ჩვენი წინაპრები“ (13). აქვე ადსანიშნავია, რომ ამ დროიდან რესპუბლიკებში ოფიციალურ დონეზე და უკვე საზოგადოებაშიც არ გააჩნიათ მხარდაჭერა კაზაკთა ცალკეული ლიდერების მცდელობებს შექმნან კაზაკთა შეიარაღებული ფორმირებები“. ასევე ვერ გამოიდო შედეგი მუსა შანიბოვის მცდელობამ, ათი თვის შესვენების შემდეგ, კავკასიის ხალხთა დისკრიდიტირებული კონფლიქტაციის რეანიმირება მოეხდინა (14).

კონფლიქტის იზოდიორების პოლიტიკა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (ჩეჩნეთის გარდა) ეთნონაციონალიზმს, წინა წლებთან შედარებით, საზოგადოებისგან ღია მხარდაჭერა აღარ გააჩნია. ინიციატივა „მოდერნიზაცია ეთნონაციონალიზმის სარჩევლით“ არაფორმალებიდან ოფიციოზში გადადის.

ამ მხრივ ნიშანდობლივია „ხელშეკრულება აფხაზეთის რესპუბლიკასა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოეწერა 1995 წლის 19 მაისს ქ. სოხუმში. ყურადღებას იპყრობს ხელშეკრულების პირვე-

ლი მუხლი, სადაც აღნიშნულია „საშინაო საქმეებში ჩაუ-
რევლობის“ პრინციპი და მერვე მუხლი, რომელშიც საუ-
ბარია „ნალჩიკსა და სოხუმში აფხაზეთისა და ყაბარდო-
ბალყარეთის რესპუბლიკების სრულუფლებიანი წარმო-
მადგენლობის დაარსებაზე“ (15). ზემოხსენებული ხელშეგ-
რულება იმ დროს, როდესაც რუსეთს აფხაზეთისთვის
ბლოკადა აქვს გამოცხადებული, ისეთ შთაბეჭდილებას
ახდენს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმო-
ებული აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკა არაეფექტუ-
რია. თბილისი კვლავ ცდილობს „არ აწყენინოს“ მოსკოვს
და ერიდება როგორც აფხაზებთან, ასევე ჩრდილოკავკა-
სიელებთან უშუალო დიალოგს. ამასთან დაკავშირებით,
გაურკვეველი რჩება ეშევარდნაძისა და ჰ.ალიევის მიერ
1990-იანი წლების მეორე ნახევარში გახმაურებული ინი-
ციატივის „მშვიდობიანი კავკასიის“ რეალიზების მექანიზ-
მი – როგორ უნდა განხორციელებულიყო ის, თუ კავკა-
სის ქვეყნებს შორის არ იქნებოდა დემოკრატიისათვის
დამახასიათებელი უშუალო პორიზონტალური კავშირები.

1996 წლს რუსეთის ჩრდილოკავკასიურ საკურორ-
ტო ქალაქ კისლოვოდსკში, ოთხი ქვეყნის ხელმძღვანე-
ლობის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, რუსეთი)
მიერ ხელი მოეწერა დეკლარაციას „კავკასიაში ეროვნუ-
ბათაშორისო თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და
კულტურული თანამშრომლობის“ შესახებ (16). ეს დოკუ-
მენტი სხვა არაფერია, თუ არა ამ ქვეყნების ხალხთა
მოთხოვნა, რაც მიესადაგება ლიბერალურ დემოკრატიულ
პრინციპებს – ერთა შორის პორიზონტალური თანამ-
შრომლობის მოთხოვნილებებს.

სამწუხაროდ, ერთაშორის ურთიერთობებში, რუსე-
თისა და საქართველოს ხელისუფლების მონოპოლიის გა-
მო კისლოვოდსკის სამიტზე დეკლარირებული დებულებე-
ბი კავკასიაში მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ
პიარაქციად დარჩა.

ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთთან ურთიერთობის მიზნით, ინიციატივა ადგილობრივმა ხელისუფლებებმა საკუთარ ხელში აიღეს. ამის კარგი ილუსტრაციაა ის, რომ 1995 წლის მაისში მათ მიერ აფხაზებთან მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის შემდეგ ეროვნული მოძრაობების შტაბ-ბინები ნალჩიკის ცენტრში მდებარე შენობიდან გამოასახლეს. თუმცა აშკარა გახდა, რომ ამგვარი ურთიერთობა ფაქტიურად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ყველაფერი უკვე მოსკოვიდან წყდებოდა. მართლაც, ამავე წლის აგვისტოში, როცა ორდღიანი ვიზიტით ნალჩიკში აფხაზეთის საპარლამენტო დელეგაცია ჩავიდა (ხელმძღვანელი ს. ჯინჯოლია), მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა შეხვედროდა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ვ. კოკოვს, მისი მცდელობა უშედეგო გამოდგა, რამაც ეროვნულ მოძრაობებში უკმაყოფილება გამოიწვია (17).

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსკოვი თბილისთან მიმართებით „ვალდებულებებს ასრულებს“ აფხაზეთის ბლოკადის საკითხში (18), მაგრამ რეალურად სულ სხვა სურათი იხატება: რუსეთის ფედერალური ხელისუფლება თავის ანტიპართულ ჩანაფიქრს ჩრდილო კავკასიის რეგიონის ხელისუფალთა (და არა მარტო მათი) ხელით ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთშიც კი, რომლის ხელისუფლება ზემსხენებული ბლოკადის მიუხედავად, რესპუბლიკაში მოდერნიზაციულ პროცესს ვერ აჩერებს, 1997 წელს, საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, იწყება სახელმწიფოებრივი ქონების პრივატიზაციის პროცესი. საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 22 მარტის დადგენილებაში ნათქვამია: „1997 წელს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო ქონების უკანონო პრივატიზირება, რის შედეგადაც 2001 წლამდე პრივატიზირებულ იქნა ათასზე მეტი ობიექტი. განსაკუთ-

რებით მასობრივი ხასიათი მიიღო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების გასხვისებამო (19). ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით ადიღური რესპუბლიკებიდან და ნაწილობრივ რუსულენოვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუბიექტებიდანაც ცალკეულმა ორგანიზაციებმა და იურიდიულმა პირებმა ამ პერიოდში აფხაზეთში ქონება ჩაღის ფასად შეიძინეს.

ამრიგად, აღნიშნული პროცესი სულაც არ მოწმობს იმას, რომ თითქოსდა „ბოლო სამ წელზე მეტია აფხაზეთის ეკონომიკა ბლოკადითაა პარალიზებული”, როგორც ეს 2001 წლის ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის განცხადებაშია ნათქვამი (20).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხარე 1996-2000 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით ერთგვარ აქტიურობას იჩენს, თუმცადა სამწუხაროდ, ეს სახელმწიფო პოლიტიკის კურსს კი არა, არამედ უფრო მეტად ცალკეულ პირთა ინიციატივას წარმოადგენს.

თბილისის ასეთ მცირე “გააქტიურებაზეც” კი ჩრდილოპაგდასიელთა რეაქციამ არ დააყოვნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრევალის სახელზე 1996 წლის ოქტომბერში ყაბარდო-ბალყარეთის ისტორიის, ფილოლოგიის და ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელების მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: “ჩვენ ვიცით და პატივს ვცემთ თქვენს ძალისხმეულების რეგიონის ხალხთა დაახლოებაში. თქვენს მიერ და აგრეთვე აკადემიკოსების მარიამ ლოროტქიფანიძის, თამაზ გამყრელიძისა და სხვათა მიმართვას ყაბარდო-ბალყარეთის ინტელიგენციისადმი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი რაოდენობა იზიარებს. ჩვენში დიდი სიხარული გამოიწვია თსუ კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გახსნამაც. თბილისში ყაბარდო-ბალყარეთის ისტორიის შესწავლა

ბევრად შეუწყობს ხელს ჩვენს ხალხებს შორის გაგებისა და თანამშრომლობის განვითარებას” (21).

რასაკვირველია, ამგვარი სამოქალაქო აქტიურობის გამო, რაც ნალჩიკისა და ობილისის ურთიერთდამოკიდებულების მცირე “დათბობაში” გამოიხატა, აფხაზეთის მთავრობამ და ჩრდილოკავკასიური ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა უკმაყოფილება ვერ დაფარეს. სწორედ ეს იქნა აღნიშნული 1996 წლის მარტში ქ.ნალჩიკში გამართული „მრგვალი მაგიდის“ დროს აფხაზეთის დელეგაციასა და ყაბარდოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „აღიღე ხასე“-ს მიერ. ნებატიური ტრნი ადგილობრივ პრესაშიც აისახა: „ამ ბოლო წელს ჩვენი რესპუბლიკების დაახლოების ტემპი ყველა დონეზე დაეცა. ამით ისარგებლეს ჩვენმა არაკეთილმოსურნებმა. ნალჩიკში გახშირდა საქართველოს ემისრების გამოჩენა „დაკარგული კავშირების აღდგენის მიზნით“, – წერდა გაზეთი „აღიღე ხასე“. ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში სათავრით „არეშიძის რადიოში გამოსვლის შესახებ“ სინანულითაა ნათქვამი, თუ როგორ “თავაზიანად მისცა საშუალება” ყაბარდობალყარეთის რადიოს მხატვრული მაუწყებლობის რედაქციამ საქართველოს პარლამენტის წევრებს გამოსულიყვნენ ეთერში (22).

ამ სტრიქონების ავტორს, რომელიც ზემოთ აღნიშნული მოვლენების უშუალო მონაწილე გახლდათ, შეუძლია აღნიშნოს, რომ ყოველივე ასეთი აქტიურობა საქართველოს მხრიდან ატარებდა „მოსკოვის გვერდის ავლის“ ხასიათს, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან ჩასული დელეგაციის წევრები მიიჩნევდნენ, რომ გუშინდედ უუფლებო ავტონომიურ რესპუბლიკებს ამ რეგიონში დღეს პოლიტიკური სტატუსი გაეზარდათ და მათ, პრეზიდენტ ბ. ელცინის სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, “მიიღეს იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვაც შეძლეს”. სამწუხაროდ, ეს განცხადება

ოდენ დეკლარაცია გახდდათ. რეალურად კი რეაქციის ფე-
დერაციის პოლიტიკურ ელიტაში კვლავაც არსებული საბ-
ჭოური აზროვნების ინერციის გამო, ნაცვლად თვითმმარ-
თველობისა და დემოკრატიის განვითარებისა, ავტოკრატი-
ული სახელისუფლებო ვერტიკალი იყო გამტკიცებული.
არადა კავკასიელი ხალხების მოლოდინი დემოკრატიული
გარდაქმნებისა დიდი იყო. ამ სტრიქონების ავტორი ამ
იმედების შესახებ მაშინაც დიად მიუთითებდა: „საქართვე-
ლოსა და აფხაზეთის საღად მოაზროვნე მოქალაქეები ხე-
დავენ, რომ ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკის სტრუქტუ-
რული გარდაქმნის და მესაკუთრეთა სოციალური ფენის
ფორმირების პროცესი შეუქცევადს ხდის სამართლებრივი
სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, სადაც ადამიანი და
მისი ინტერესები იქნება უზენაესი. ოფისობრივად ახალ
დონეზე შეიქმნება ბაზა მომზე ქართველ და აფხაზ ხალ-
ხთა ერთობისა და დახლოებისათვის“ (23).

XX ს.-ის 90-იანი წლების მოსკოველი და თბილი-
სელი პოლიტიკოსების შეხედულებები ერთმანეთს ჰგვა-
ნან დემოკრატიული რეფორმების გატარების უუნარობის
მხრივ. ნაცვლად ხალხებს შორის დემოკრატიული, პო-
რიზონტალური ურთიერთობების განვითარებისა (საზოგა-
დოების მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში), კავკასი-
ური პოლიტიკა ძველებურად ემყარება ვერტიკალურ (ავ-
ტოკრატიულ სახელისუფლებო) რესურსს. მოსკოვის ზო-
გიერთი პოლიტიკოსის აზროვნების ინერცია ძველებურად
მიმართულია იმისკენ, რომ მკაცრად იყოს ცენტრზე და-
მოკიდებული არა მარტო რესერტის რეგიონი მთლიანად,
არამედ ახლო საზღვარგარეთის სახელმწიფოებიც.

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, კავკასიაში შეფერ-
ხდა მოდერნიზაციული გარდაქმნების პროცესი. კავკასია-
ში ადრე წამოწყებული აქტიურობები კულტურული, სა-
მეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით,
შეეწირა პოლიტიკოსთა ფანტაზიებს, კერძოდ, აფხაზეთის

იზოლაციის, ეკონომიკური ბლოკადისა და ა.შ. პოლიტიკას (24).

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს 2012 წლამდე არსებული ყველა მთავრობის პოლიტიკურმა კურსმა აფხაზეთის იზოლაციონისტური პოლიტიკის გატარების საკითხში იმ იმედით, რომ „მეტი სარგებელი“ მიეღოთ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, ფიასკო განიცადა. თუმცა ამ დროს მანძილზე არაერთხელ იქნა შეთანხმება მომზადებული, მაგრამ, როგორც ვიციოთ, ყოველთვის „რაღაც მიზეზების“ გამო, ხან ქართული, ხან აფხაზური მხარე შეთანხმებას ხელს არ აწერდა.

საინტერესოა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი.

საქართველოს მთავრობა წარმატებულად მიიჩნევს 1995 წლის 5 მარტს გაეროში გაგზავნილ მის მიერ შედგენილ წინადადებებს აფხაზეთის სტატუსის შესახებ. ქართული მხარე თვლის, რომ დოკუმენტი კომპრომისულია. ის ითვალისწინებდა, რომ საქართველო, როგორც ერთიანი ფედერალური სახელმწიფო, შეიქმნებოდა ყოფილი საქართველოს სსრ-ს საზღვრებში 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს, ექნებოდა უფართოესი უფლებამოსილებანი: საკუთარი დროშა, პიმინი, გერბი, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების სხვა ატრიბუტები, პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, სამართლდამცავი სისტემა, რაც დაფიქსირდებოდა ერთიანი საქართველოს კონსტიტუციაში და აფხაზეთის კონსტიტუციაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, ექნებოდა სახელმწიფო ენის სტატუსი.

ამ დოკუმენტის თანახმად ფედერალური მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკური კავშირები, თავდაცვა, ფულად საკრედიტო

სისტემა, საბაჟო სამსახური, ფედერალური ბიუჯეტი, ენერგეტიკა, სახელმწიფო საზღვრის დაცვა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და ეროვნული ტრანსპორტი.

ცნობილია, რომ ფედერალურის მოდელთან დაკავშირებით ქართული საზოგადოება ერთგვაროვანი არ ყოფილა. მკვლევარი რ.გელანტია აღნიშნავს, რომ 1995 წლის 25 ივნისს მხარეთა შორის გამართულ მოსკოვის მოლაპარაკებაზე, რომელსაც უძღვებოდა რუსეთის ვიცეპრეზიერი ბოლშაკოვი, აფხაზური მხარის ხელმძღვანელმა ა.ჯერგენიამ, სოხუმთან შეთანხმებით, მხარი დაუჭირა ფორმულირებას „ერთიანი ფედერალური სახელმწიფო შესახებ“, თუმცა მოგვიანებით იმავე დღეს, სოხუმის მოთხოვნით, მანვე განაცხადა უარი დოკუმენტის პარაფირებაზე (სოხუმმა იგი გაათავისუფლა დელეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან (25).

ქართულ მხარეს აღანაშაულებენ აფხაზი სეპარატისტების მეგობრები ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციიდან იმაში, რომ თბილისი არ თანხმდება აფხაზების მხრიდან კომპრომისულ შეთავაზებას პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორც ისინი აღნიშნავენ 1997 წელს, აფხაზების მიერ განსახორციელებლად შემოთავაზებულ იქნა ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას, დაფუძნებულს ორი თანასწორუფლებიან სუბიექტის – საქართველოსა და აფხაზეთს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.

ფაქტიურად კი, როგორც აღნიშნულია ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესის 2000 წლის 28 ივნისის განცხადებაში, შემოთავაზებული იყო სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ფედერაცია-კონფედერაციის პრინციპებზე. ამის გარდა, ნათქვამია, რომ რაზედაც უარს ამბობს ქართული მხარე, არის კიდევ ორი დოკუმენტი, რომელებიც უკვე მესამე წელია განიხილება მხარეებს შორის და აფხაზური მხარე მზა-

დაა ხელი მოაწეროს მათ. ესენია: „შეთანხმება მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების განუახლებლობის გარანტიის“ შესახებ და „ოქმი გალის რაიონში დევნილების დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის ზომების შესახებ“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქართული მხარე 1996 წლის დსთ-ის სამიგზე აფხაზებისათვის შემოღებული ეკონომიკური სანქციების მოლოდინშია და შეთანხმებების ხელმოსაწერად მზად არ არის. ამის დასტურად ნათქვამია, რომ ქართველებმა 1998 წლის მაისში გალის რაიონში გააჩადეს ომი, რის შედეგადაც არის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი. აქვე გაკვთებულია მიმართვა დსთ-ის ქვეყნების მიმართ აფხაზეთი დაშვებულ იქნას დსთ-ის იმ სამიგზებზე, სადაც განიხილება მასთან დაკავშირებული საკითხები (26).

რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის მეცადინეობის შედეგად აფხაზეთის მიმართ გაუქმდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ 1994 წელს მიღებული სანქციები და საქართველოსთან შემოღებულ იქნა (2001 წელს) მკაცრი სავიზო რეჟიმი, რომელიც არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე. ფაქტიურად, რუსეთის მთავრობის პოზიცია, რომ ის არ დათმობდა აფხაზეთს, ამით უკვე გამომჟღავნებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ძალაში რჩებოდა დსთ-ის სამიგზე 1996 წელს აფხაზეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციები.

სამწუხაოდ, 2000-ანი წლების დასაწყისში აფხაზეთისა და კავკასიის სხვა კონფლიქტების მიმართ რუსეთისა და საქართველოს მთავრობების გაურკვეველმა პოლიტიკამ შეუძლებელი გახდა განხორციელებულიყო საერთაშორისო ექსპერტიზის დონეზე მომზადებული კიდევ ერთი პროექტი „თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“ (ბოდენის დოკუმენტი, მარტი 2003 წ.).

ამ პროექტის თანახმად, 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საქართველოს საზღვრები ცვლილებას არ ექვემდებარება, აფხაზეთი კი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენიტეტი წარმონაქმნი განსაკუთრებული სტატუსით საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისა და სოხუმს შორის განსაზღვრული იქნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების დონისძიებათა შესახებ მიღებული 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის თანახმად, ანუ აფხაზეთის უფლებები და კომპეტენცია აღიარებულ იქნება მეტი მოცულობით, ვიდრე ის სარგებლობდა 1992 წლამდე. ამავე დროს, დოკუმენტის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ „აფხაზეთის კონსტიტუცია შეცვლილი უნდა იქნეს თბილისა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ისე როგორც ეს განსაზღვრულია ფედერალური შეთანხმებით“ (27). სამწუხაროდ ამ პროექტსაც განხორციელება არ ეწერა.

სიტუაცია აფხაზეთში 2003 წელს კიდევ ერთხელ გამწევდა, როცა აფხაზეთში პანკისის ხეობიდან გადასული ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელავევი და მისი შეიარაღებული რაზმი გამოჩნდა. აფხაზ სეპარატისტთა მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლებამ ჩეჩენთა რაზმი აფხაზეთში პარტიზანული ომის გასაჩაღებლად გადაისროლა. რა თქმა უნდა, ასეთი მწვავე ფაქტები მხარეებს ერთმანეთისაგან კიდევ უფრო აშორებდა.

სიტუაციამ აფხაზეთში შეურიგებელი ხასიათი მიიღო იმის გამოც, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გეოპოლიტიკური ვექტორების სხვადასხვა მიმართულება აირჩიეს. აფხაზმა პოლიტიკოსებმა ქართული სახელმწიფოსაგან დისტანციებისათვის დასახმარებლად რუსეთს მიმართეს

და მასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შე-
ეცადნენ, საქართველომ კი ნატოსა და ევროკავშირისკენ
ინტეგრაციის გზა აირჩია იმ იმედით, რომ რუსეთის პო-
ზიციები დასუსტდებოდა და საქართველოს ტერიტორიუ-
ლი მთლიანობის აღსადგენად ხელსაყრელი პირობები შე-
იქმნებოდა, აფხაზები მშვიდობის დამყარებაზე დათან-
ხმდებოდნენ და დევნილები მშობლიურ ადგილებში დაბ-
რუნდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეთნონაციონალიზმი 2000 წელს
კავკასიაში კარგავს თავის პოზიციებს. ეს კარგადაა შე-
სამჩნევი 2001 წლიდან ჩეჩენეთის მაგალითზე, როცა მისი
ხელისუფლების ძალისხმევა აღიარებულ იქნა საერთაშო-
რისო ტერორიზმთან წინააღმდეგობის გაწევის კონტექ-
სტში. ამასთან დაკავშირებით კორექცია განიცადა აშშ-
ისა და ევროკავშირის ქვეყნების დამოკიდებულებამ მოს-
კოვის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის მიმართ.

ამრიგად, ეთნონაციონალიზმის დასუსტება ზოგა-
დად ჩრდილოეთ კავკასიაში კი მოხდა, მაგრამ ის რეგიო-
ნის დასავლეთ ნაწილში „ჩერქეზების საკითხის“ სახით
კვლავ ინარჩუნებს პოზიციებს. მისი გადაჭრის იდეა
ახლიდან ისხამს ხორცს განსაკუთრებით რუსეთ-საქარ-
თველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი.
2007 წლის ნოემბრიდან საქართველოში ასიათასობით
ადამიანი ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტი-
კით უქმაყოფილების გამო, იწყებს საპროტესტო გამოს-
ვლებს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება
ცდილობს ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატია ჩამოაყა-
ლიბოს „ძველი“ ავტორიტარული მეთოდებით. უმუშევრო-
ბა, ელიტარული კორუფცია, მედიის და სიტყვის თავი-
სუფლების შეზღუდვა, გახმაურებული მკვლელობები, სა-
სამართლოს არაადექვატური მუშაობა, კონფლიქტების

მოუგვარებლობა და სხვ. დაედო საფუძვლად ქვეყნის საშინაო კრიზისს, რამაც საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა გამოიწვია.

2008 წ. იანვარში მმართველი პარტიის – „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ მ. სააკაშვილის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა არ დამცხოვალა. აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების გადაჭრისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ქვეყნის ხელისუფლება იწყებს ჩრდილოკავკასიური ფაქტორის გამოყენებას. 2008 წლს გამოიკვეთა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით საპარლამენტო კომიტეტის სამუშაო ჯგუფის აქტიურობა.

ამ დროისათვის ჩრდილოეთ კავკასიაშიც გამოიკვეთა სიტუაციური ცვლილებები. თუ ადრე ამ რეგიონში მოსახლეობის სიმპათიები ცალსახად ეთნონაციონალიზმისკენ იხრებოდა, 2007 წლიდან უპირატესობა ისლამურმა ფაქტორმა მოიპოვა. ამავე წლის ოქტომბერში არალიარებულ ნაციონალურ ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერიას მისი ლიდერი დოკუ უმაროვი თავადვე აუქმებს და ცხადდება ბრძოლა ისლამური ქსელური პროექტის – „კავკასიის იმარატი“ შესაქმნელად (28).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თუ ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში (ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი) ეთნონაციონალიზმი გადადის მეორე პლანზე, ამ რეგიონის დასავლეთ ნაწილში ის პოზიციებს ინარჩუნებს. საქართველოს მთავრობა აფხაზეთის საკითხში თავის რეგიონულ აქტიურობას სწორედ „ჩერქეზთა საკითხს“ უკავშირებს: იგეგმება მათთან კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა ურთიერთობების აღდგენისა და განვითარების საკითხები.

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ გადადგა რადიკალური ნაბიჯი – შეეცადა, რომ ოსი სეპარატისტების კონ-

ტროლქვეშ არსებული ცხინვალის რეგიონი სამხედრო ძალის მეშვეობით დაექვემდებარებინა და კონსტიტუციური წესრიგი აღედგინა. როგორც ცნობილია, ცხინვალში რუსული სამშვიდობო კონტინგენტი იყო განლაგებული, ხოლო მოსახლეობას რუსული პასპორტები აქვს, ანუ ისინი „რუსეთის მოქალაქეები“ არიან. ეს ფაქტი რუსეთის ხელმძღვანელობაში თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ქართული არმიის ქვედანაყოფების ცხინვალზე შეტევა „რუსეთის მოქალაქეების“ უფლებების ხელყოფად მონათლა და საქართველოში, როგოს გვირაბის გავლით, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები, მძიმე ტექნიკა და ავიაცია შემოიყვანა. მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთი თავის ფორპოსტებს სამხერეთ კავკასიაში ასე აღვილად არ დათმობს. მსოფლიომ ისიც დაინახა, რომ საქართველოს მოსახლეობა, მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, ერთიანი იყო რუსეთის წინააღმდეგ.

ხუთდღიანმა სისხლისმდგრელმა ომმა ორივე მხარეს მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანა, განსაკუთრებით კი საქართველოს: დაიღუპა და დაიჭრა ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოსახლეობა, განადგურდა მატერიალური დოკუმენტები, სამხედრო ქონება და შეიარაღება, რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ახალგორის რაიონზე (ცხინვალის რეგიონში) და კოდორის ხეობაზე (აფხაზეთი). მოხდა უფრო უარესი: რუსეთის ფედერაციაშ აფხაზეთისა და სამხერეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარა, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ბუნებრივია, ქართული მხარე და, მასთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობა ახალ გეოპოლიტიკურ სტატუს-ქვოს არ ცნობს და მიიჩნევს, რომ საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს. თუ როგორი იქნება ეს გზა, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ მანამდე კავკა-

